კვირა 20 დეკემბერი 1925 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

| ხელის მოწერა | | განცხადების ფასი: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით . . . | 5 მ. 50 კ. | „დროშის“ მთ. გვერდი | 200 მ. |
| 6 თვით . . . | 3 მ. — | 1/2 გვერდი . . . | 120 მ. |
| 3 „ , . . . | 1 მ. 70 კ. | 1/4 „ . . . . | 65 მ. |
| ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. | | | |

მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. „კომუნისტის“ რედაქცია.

№ 1--2 გაზეთ „კომუნისტის“ ორკვირეული სამხატვრო, სალიტერატურო დამატება № 1--2



1905 წელი რევოლიუცია მოსკოვში

Тбилисский филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 20 წელი

1905 წლის „გენერალურ რეპეტიციის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება.

ვ. ლენინი.

ბუნებას სასწაული არ სჩვევია, მაგრამ ის, რისი მოწამენიც ჩვენა ვართ ამ ორიოდე ათეულ წლის განმავლობაში, სხვანაირათ არ შეიძლება მოინათლოს ჩვეულებრივ ენაზე, თუ არა სასწაული. მართლაც, სულ რაღაც ოციოდე წელი, მხოლოდ ოცი და ისტორიის ამ ერთი თვალის დახამხამებაში, დედა-მიწის ზურგიდან სამუდამოდ აღიგავა ძველ პოლიტიკურ სისტემის ერთი უდიდესი ორგანიზაცია, რომელსაც სახელი ერქვა რუსეთის იმპერია.

მის ნაცვლად ჩვენ უკვე გვაქვს ჯერ არ გაგონილი, არ ნახული სახელმწიფოებრივი ფორმა, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომელიც უკვე მეცხრე წელია, რაც არსებობს და ვითარდება. ჩვენ დაგვავიწყდა კიდეც, რომ ამ ხნის განმავლობაში ახალი თაობა წამოიზარდა, ახალი კაცობრიობა, რომელიც ძველ, მეფის რუსეთს მუზეუმებში და არქივებში სწავლობს, და ეს ყველაფერი მოხდა ოცი წლის განმავლობაში.

ვინ იფიქრებდა 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, რომ მსოფლიო რეაქციის ბურჯი, „ევროპის ჟანდარმი“, რუსეთის იმპერია ასე უცაბედად დაალამებდა თავის სიცოცხლის დღეებს და სულ რაღაც თორმეტი წლის განმავლობაში, მის საშოდან დაიბადებოდა ახალი რევოლიუციონური ძალა, რომელიც ძველ სამყაროს დამოკლეს ხმალივით თავს დაეკიდებოდა. მაგრამ ეს მოხდა, ეს რეალურ სინამდვილეთ გადაიქცა. და აქ უთუოთ დიდი დამსახურება მიუძღვის პირველ რევოლიუციას, რომლის ოცი წლის თავსაც ეხლა ვდღესასწაულობთ.

ოცი წლის წინათ მოხდა პირველი და „გენერალური“ შეტევა მეფის ტახტის წინააღმდეგ, ეს იყო რევოლიუციის არაჩვეულებრივი მძლავრი ტალღა, რომელმაც აამოძრავა ძველი რუსეთის ყველა სოციალური ფენები და მათი წინამძღოლი პოლიტიკური პარტიები.

1905 წლის რევოლიუციამ პირველათ გამოაშკარავა რუსეთის სხვადასხვა მიმდინარეობათა სოციალური ბუნება, მათი ადგილი საზოგადოებრივ მოძრაობის ასპარეზზე და მათი ინტერესთა წინააღმდეგობა. 1905 წლის რევოლიუციის დროს პირველათ მოხდა ილიჩის სიტყვები რომ ვიხმაროთ, რუსეთის ხალხთა ყველა კლასების სწორი „თვითგამორკვევა“, ამ კლასების ურთიერთშორის და მონარქიასთან დამოკიდებულება და მათი ისტორიულ დანიშნულების გზებს ფარდა აეხადა.

ამ მხრივ პირველი რევოლიუციის დამსახურება იმდენათ დიდი იყო, მის გაკვეთილებმა იმდენათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რომ მეორე რევოლიუციისათვის, 1917 წელში, სხვადასხვა მომქმედ ძალებმა უკვე იცოდენ თავის ადგილი, იცნობდენ ერთმანეთის ძალებს, არჩევდნენ მტერს მოყვარისაგან და მოყვარეს მტრისაგან. ამიტომ იყო, რომ მეორე იერიში 1917 წელში, რომელიც მიიტანა მუშათა კლასმა და გლეხობამ ძველ რუსეთის წინააღმდეგ, იმდენათ მძლავრი და შეუპოვარი აღმოჩნდა, რომ თვითმპყრობელობა იძულებული გახდა უბრძოლველათ დაეყარა ფარ-ხმალი და ერთხელ და სამუდამოთ გამქრალიყო, როგორც მმართველი წოდება.

მაგრამ არც მის მემკვდრეს დასცალდა რამდენიმე მაინც ხანგრძლივი არსებობა. რვა თვის განმავლობაში ბატონობდა რუსეთის კოალიციონური ბურჟუაზია და ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ისიც გამომშვიდობებოდა პოლიტიკურ ბატონობის საჭეს, რომ ეფეთქა დიდი ოქტომბრის რევოლიუციას. ამნაირათ, ბურჟუაზიული რესპუბლიკა დასჭკნა ისე), რომ გაფურჩქვნაც ვერ მოასწრო. მან ადგილი დაუთმო პროლეტარულ დიქტატურის სახელმწიფოს, საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას.

რუსეთის ბურჟუაზიას დასაბამიდანვე განსაკუთრებულ პირობებში მოუხდა არსებობა და განვითარება. დაწყებული მეთვრამეტე საუკუნიდან და გათავებული 1917 წლის თებერვლის უკანასკნელ რიცხვებამდე, ის განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებდა ფეოდალურ არისტოკრატიასთან, აგრარულ ბურჟუაზიის ბატონობასთან, რომლის გამომხატველიც იყო მეფის თვითმპყრობელობა. მაგრამ ეს ბრძოლა ყოველთვის უშედეგოთ თავდებოდა, რადგან ქვეყნის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა უცხო კაპიტალს და რუსეთში სუსტი იყო ნაციონალური ბურჟუაზია. ამით აიხსნება ის უსუსურობა და უბადრუკობა, რომელიც თავიდანვე დასჩემდა რუსეთის ბურჟუაზიას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შიში საკუთარი ძალების სისუსტის წინაშე, თუ მას წილათ ხვდებოდა ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში აღება, შიში ძლევამოსილ პროლეტარულ რევლიუციისა, რომელიც თვითმპყრობელობასთან ერთად ისტორიის არქივს ჩააბარებდა ბურჟუაზიულ რესპუბლიკასაც.

კრიტიკულ მომენტში, გადამწყვეტ ბრძოლის დროს, აბობოქრებულ ტალღით დამფრთხალმა ბურჟუაზიამ ზურგი აქცია რევოლიუციას და მეფის ტახტს ამოეფარა. მისთვის რევოლიუცია სახელგანთქმულ 17—ოქტომბრის მანიფესტით და ბულიგინის სათათბიროთი ამოიწურა. ამის იქით რუსეთის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ ფეხი აღარ გადადგა. მან რეაქციისა და რევოლიუციონურ პროლეტარიატის მომრიგებლის როლი იკისრა.

მაგრამ 1905 წლის რევოლიუციის ბედი ისე ადვილათ კიდევ არ გადაწყდებოდა, რომ ქალაქთან ერთად ამდგარიყო სოფელი, რომ პროლეტარიატს და გლეხობას შეთანხმებით ეწარმოებია ბრძოლა გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ. ეს კი ასე არ მოხდა, სოფელმა დაიგვიანა. იქ რევოლიუციის ტალღა მაშინ წამოიჭრა, როცა ქალაქში რეაქცია გამარჯვებას ზეიმობდა.

ამრიგათ, დამარცხდა 1905 წლის რევოლიუცია, მაგრამ ეს მხოლოდ სტრატეგიული უკან დახევაა და არა ბრძოლის ველიდან სამუდამოთ წასვლა. ამ უკან დახევის შემდეგ დაიწყო კლასების გადაჯგუფება, მებრძოლ ძალების ჩამოყალიბება და ახალ შეტევისათვის მზადება. ეს ახალი შეტევა იმდენათ ძლევამოსილი, იმდენათ შეუპოვარი აღმოჩნდა, რომ მან ერთი შეხებით დაამხო თვითმპყრობელობა და რამდენიმე ხნის შემდეგ მას თანვე გააყოლა მისი უღლეური მემკვიდრე ბურჟუაზიული დიქტატურა.

რევოლიუცია მარცხდება, მაგრამ არ კვდება. მომავალი მისია როგორც პროგრესიულ სოციალურ მოვლენის. კვდება მხოლოდ დრო-მოჭმული, ხავს-მოკიდებული საზოგადოებრივი წესწყობილება, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია რევოლიუციის იერიშები და ეს ასეც მოხდა.

დიდმა ოქტომბერმა გაიმარჯვა. ეს არის 1905 წლის რევოლიუციის გამარჯვებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრაას ხუთის სტიქიონი

ისტორიის მთაგრეხილებში—ცხრაას ხუთი წელი ისეთი განმარტოებული უღელტეხილია, სადაც მრავალი თაობა გულმოდგინეთ შეჩერდება, რომ შეიცნოს ბრძოლით განვლილი გზები კაცობრიობის განვითარებისა.

აქ ერთ ეპოქას გაერღვა უფსკრული და მეორე ეპოქამ დაიწყო დრტვინვა მიწისძვრასავით. ბევრგან აწყვეტილმა ძალამ კიდევაც აღმოხეთქა ცეცხლის-მფრქვეველ ვულკანებათ და უსამართლობის ხანგრძლივათ დამკვიდრებულ მყუდროებაში მან დასთესა ალიაქოთი. თან წამოშალა შიშის საზარელი აჩრდილები, რომელთაც თავზარი დასცეს საუკუნოების კალთებში მონებივრე მპყრობელობას.

ცხრაას ხუთი წელი—ეს იყო ჯვარედინი გზა, სადაც საბედისწეროთ შეეხალენ ერთმანეთს ძველი და ახალი, წარსული და მომავალი, განწირულება და იმედი.

აქ მოსწყდა პირველათ წელი დაუძლეველ რაშზე თავხედათ მოთარეშე ბატონობას. აქ გაიმართა პირველათ



**ლეიტენანტი შმიდტი**

**მეზღვაურთა აჯანყების მეთაური 1905 წ.**

მხრებში შრომით დატვირთული ადამიანი და თავისუფლების ცეცხლოვანი ჰიმნები აურ-ზაურით გადასტყორცნა ძალმომრეობით გამოყრუებულ არეში.

ცხრაას ხუთ წელში—პირველათ გაიზმორა ძლიერი ვეშაპივით რუსეთის რევოლიუცია და შემდეგ აღარც მოუსვენია, სანამ არ დაამხო ყველა მთები ცხოვრებისა, სანამ შემაძრწუნებელ ქარიშხალათ არ მოედო დედამიწის სარტყელს და არ შეაზანზარა მთელი სამკვიდრებელი გულ-დახავსებულ დროებისა.

ცხრაას ხუთი წელი—უდიდეს გარდაქმნათა დასაწყისია.

ეს არის ეპოქალური ბრძოლის უსაზღვრო ოკეანე, სადაც ჩაიძირა შესატევათ გამოსული მრავალი გემი. მაგრამ აფრა-აყრილი ხომალდი ბრძოლისა და გამარჯვებისა კი ისევე იმედიანათ მიარღვევს მდევების ჯარებივით ატეხილ ტალღებს და მისცურავს აღთქმულ მხარესკენ.

ცხრაას ხუთ წელში თავისუფლების რაინდულმა სახემ გამბედავათ აიხადა საიდუმლოების ჩადრი და მონობის დაღმექილ სახესაც ჩამოახია ცბიერობის ნიღაბი.

აქ იყო გაჭეხება--რაშების.
გახელება— ლომების.



**ს ა ზ ო ნ ო ვ ი**

**მკვლელი შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევესი.**

ნახტომი—ვეფხვების.
სიძლიერე—მდევების.

ეს იყო გმირთა უტეხი ბუნების გამომჟღავნება ბრძოლისა და ცხოვრების შუადღეზე.

ცხრაას ხუთ წელში ხალხის ამხედრებულმა სულმა პირველათ გაბედა გაუბედავი. პირველათ შეუტია აქნობამდის აუღებელ ბატონობის ციხე-სიმაგრეს და შეარღვია კიდეც პირველი დიდი გალავანი.

აქ დაითრგუნა თავხედი სული სიძველისა და აენთო ძლევამოსილი სული იმედისა.

დაგუბებული მორევები ხალხის მოთმინებისა უეცრივ გადმოსკდენ მთიურ ნაკადებათ და ფესვებ-დაგლეჯილ ნერგებივით დაბდღვნეს ყველაფერი, რაც კი დაუხვდებოდა წინ—იმათ მოვარდნას.

ხალხმა გაიღვიძა!
ხალხი ამღელვარდა!
ხალხი იბრძოდა!
ხალხი იმარჯვებდა.

კედლებ-დანგრეულ, ნიადაგ-გამოცლილ ძველ ციხექალაქს ცხრაას ხუთ წელმა ჩაუწყო ღრმა საძირკვლებში ნაღმები—ნაღმზე და ყოველ წამში უმზადებდა საბედისწერო აფეთქებას.

სასტიკი ბრძოლა გადაიხადა მაშინ ხალხმა.
ვერ გაიმარჯვა.
მაგრამ არც დამარცხდა.
ბრძოლა გადაიდო.

გადაიდო იმ იმედით, რომ ახალი უეჭველათ დათრგუნავს ძველს, მომავალი—წარსულს, რომ უეჭველათ ამოვა მზე, უეჭველათ გათენდება და აღმოსავლეთისკენ დაუღალავათ განაპყრობდა მოლოდინით აღსავსე ხელებს.

ცხრაას ხუთ წელში—ისტორიის დაკვესებაზე ელვის სისწრაფით წამოიშალენ თავდადებულ გმირთა რაზმები.

უსახელოთ.
უანგაროთ.
უშიშრათ.

იგინი გადადიოდენ ბარიკადიდან—ბარიკადზე, ბრძო-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ლიდან—ბრძოლაზე, საფრთხიდან—საფრთხეზე, გამეტე-ბიდან—გამეტებაზე.

იგინი ანგრევდენ—რომ აეშენებინათ ახლად.

იგინი ამტვრევდენ—რომ გამოეჭედათ ახლად.

იგინი იხოცებოდენ—რომ აღმდგარიყვენ ახლათ—



ზერშუნი

1905 წლის რევოლიუციონურ რაზმთა მეთაური რუსეთში

ხალხის სულში.

ხალხის ხსოვნაში.

ხალხის ბედნიერებაში.

ისტორიის ფაფარ-აწეწილ რაშს ზურგზედ მოექცენ სტიქიონები ხალხის აღდგენის, ხალხის ბრძოლის და იან-ვრიდან დეკემბრამდე ასე მოაჭენებდენ შფოთში, ქარ-ცეცხლში, ნიაღვარში, მტვრევა და ვაგლახში.

ამ ჭენებაში გაისმოდა ზრიალი—ფოლადის, ძახი-ლი—ბუკის, გრიალი—მოწოდეიბს.

იყო გმირული თავგამეტება.

რევოლიუციონური შეტევა.

პოეტური გადავარდნა.

სასიკვდილო თავდავიწყება.

ძლიერი იყო დუღაბითა და ქვიტკირით ნაგები სი-მაგრე საუკუნოებით განმტკიცებულ სიძველისა.

მაგრამ ძლიერი იყო—მებრძოლთა შეტევაც.

დიადი იყო—გატაცებულთა რწმენაც.

ურყევი იყო—რევოლიუციონერთა ნებისყოფაც.

ამ დაუზოგავ და აწყვეტილ შეჯახებაში მებრძო-ლი—მებრძოლს ეცილებოდა, რაზმი—რაზმს, ქალაქი—ქალაქს, ხალხი—ხალხს.

ყველას რცხვენოდა უკან დარჩენის.

ყველა მიდიოდა წინ.

ყველას სწყუროდა გამარჯვება.

არავინ ფიქრობდა დამარცხებაზე.

ცხრაას ხუთი წელი—ეს არის სიმდიდრე და სიძლი-ერე ისტორიისა.

აქ ადამიანი ველარ დაეტია თავის პიროვნებაში და გადავიდა ხალხში.

ხალხი ველარ დაეტია თავის საზღვრებში და გადა-ლახა ცხოვრების კიდე.

ცხოვრებაც ველარ დაეტია თავის მოვლენებში და გადავიდა შორეულ დროში, ისტორიაში, მომავალში.

ცხრაას ხუთი წელი—ეს იყო შობვა ახალი ქვეყნის.

მაშინ საზღაპროთ გაიზარდა—

მებრძოლთა ძალა.

ხალხის სული.

მოვლენათ მნიშვნელობა.

ეს იყო უმძიმეს ბორკილების დამტვრევა და რაღაც ტყვეობიდან განთავისუფლება.

ეს იყო შემტვრევა რკინის კარების და აღმოსავლე-თის ალიონისაკენ გამბედავი წინსვლა.

ცხრაას ხუთში წაკიდებული ცეცხლი ეხლაც სწვავს და ანათებს.

ცხრაას ხუთში ატეხილი ბრძოლა ეხლაც გრძელ-დება.

ცხრაას ხუთში გადატყორცნილი მოწოდება ეხლაც გრვინავს გულიდან—გულში, ქვეყნიდან—ქვეყანაში.



ბრძოლა მოსკოვში.—1905 წ. ბარიკადა ნოვობოჟედომსკის ვიწრო ქუჩაში.

ზოგი ითვლებოდა ამ რაშის ფეხ-ქვეშ, ზოგი კი აჰყვე-ბოდა მისი ფრთების ნავარდს. წინ, იმედისკენ, აღმოსავ-ლეთისკენ...

მაშინ გაცოცხლდა პირველათ დედამიწა ბარიკადე-ბით.

მაშინ გაცოცხლდა პირველათ დედამიწა ბარიკადე-ნოსნებით.

მაშინ გაითხარა უდიდესი სამარე რევოლიუციურ მე-ბრძოლებისა.

მაშინ დაიდგა უდიდესი ძეგლი რევოლიუციურ მე-ბრძოლებისა.

მათი სიკვდილით გამოჩნდა სიცოცხლე.

მათი დამარცხებით გამოჩნდა გამარჯვება.

ისინი არიან ძლიერნი.

ისინი არიან თავდადებულნი.
ისინი არიან გატაცებულნი.
ისინი არიან უსახელონი.
ისინი არიან უკვდავნიც.
არიან უკვდავნიც,
რადგან საქმე მათი დაუმთავრებელია.
მიზანი მათი შორეულია.
მოწოდება მათი საქვეყნოა.
თავგანწირვა მათი უსაზღვროა.

ცხრაას ხუთი—ეს არის ხანძარი და აფეთქება უკუღმართობის უდიდესი სიმაგრისა.

ცხრაას ხუთი—ეს არის უძლიერესი „მამლის ყივილი" ისტორიაში.

ცხრაას ხუთი—ეს არის გოლიათური ბრძოლა, რომელსაც ამაოთ არ ჩაუვლია.

ცხრაას ხუთი მრავალ მარმარილოს ფიცარზე არის ამოსაჭრელი დაცემულთათვის.

ცხრაას ხუთი მრავალ ცოცხალთა გულზე არის ამოდაღული დაუვიწყარათ.

ცხრაას ხუთი—ცეცხლით ნაწერი უდიდესი ფურცელია ისტორიისა.

იგი მოითხოვს მოწიწებითა და გულმოდგინეთ წაკითხვას ყველა მებრძოლთაგან.

ლევ. მეტრეველი.



კამენდანტის სამმართველოში წაყვანა გრიაზნოვის მკვლელის
არს. ჯორჯიაშვილის ა ნახ. გრინევსკისა.

# ტყე და ქარიშხალი*)

ზამთარი მძვინვარებს, დედამიწას ჰზარდნის. ყინვა თანდათან სუსხს უმატებს, ქარიშხალი შფოთავს, იმუქრება. შენობებს უსისინებს, მინდვრებზე დანავარდობს, მომეტებულ ნაწილად მთებში ტყიანს ადგილებს ეტანება. იქ სჭირდება ბრძოლა. უზარმაზარი ხეები წინ ელობებიან. ისმის საშინელი ზუზუნი, გმინვა, ღრიანცელი.

ნადირნი, ფრინველნი, ქვემძრომი ჭია-ღუანი, ყველანი, თავთავიანთ ბუნაგებში იმალებიან, გულის ფანცქალით ელიან გაზაფხულს.

იანვარი უკვე დღეებსა სთვლის, სულსა ჰლევს, ბრწყინვალე მზე თანდათან ახლოვდება, მალე ყველგან ერთნაირად მოჰფენს თავის უხვს, შარავანდედით მოსილ ნათელს.

ამავე იმედით უმკლავდებიან სიცივეს ადამიანები.

ზამთრის ქომაგი უფრო და უფრო მწვავდება, ონავრობს, ხეებს ჰგლეჯს, თოვლს, მიწას ჰხვეტს, ერთმანეთში ურევს, ჰბრდღვნის და გაბრაზებული ჰაერში აქეთ-იქით ჰფანტავს.

მაგრამ ქარიშხალს ნიადაგი არა აქვს. ხანგრძლივი არ არის მისი ძალა. იგი შემთხვევით მძლავრობს, უსარძიკვლო კედელივით ქანაობს. საშიშია მხოლოდ მისთვის, ვინც დანგრევის დროს ქვეშ მოჰყვება.

შეწუხებული, უზარმაზარი ტყის მსხვილი, წვივ-მაგარი ნაძვის ძირები, ტოტების აქეთ-იქით ხეთქებით გაოგნებულნი, თანდათან გამედგრებით ეწინაალმდეგებიან, ზღვის ზვირთებივით იზრდებიან, მრავლდებიან, ტალღებივით ზედიზედ ელალებიან და ჰქანცავენ მებრძოლს.

ქარიშხალს ღონე ეკარგება. უკანასკნელად ძალზედ ქშინავს, აღარაფერს ჰზოგავს, თავპირს იმტვრევს, კლდეებს ეხლება, ათასად გადახლართულ ტოტებს ერთმანეთზედ მძლავრად ახეთქებს, ყველაფერს ანადგურებს, შემაძრწუნებლად ახმაურებს.

მაგრამ... ფესვები?!. ესაა საშიში!..

ყლორტები უკვე ჩნდებიან..

ქარიშხალი განწირულებით ოოიალებს, ღმუის, ტირის, თანდათან სუსტდება, ნელნელა სუნთქვას ჰკარგავს და ბრძოლის ველზედ მარტო დამტვრეული ტოტები და ცივი სამარე-ლა რჩება.

დინჯი, აუჩქარებელი ბუნება თავის დუმილში სამართალს არა სჩქმალავს.

თბილი მნათობი თოვლს გაადნობს და ახლად აყვავებს მდელოს...

გ. ხეჩოაშვილი.

*) ვბეჭდავთ, რამოდენიმე ნაწარმოებს, 1905 წლის ლიტერატურიდან, როგორც ნიმუშს მაშინდელ შემოქმედებისას
რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზეს დავნატრულდით

იწყებოდა გაზაფხული, განმაახლებელი და სიცოცხლის ალმაზენი ხანა დგებოდა, ცხოველმყოფელის მზის სხივებმა გამოაღვიძა მცენარენი, მწერები, ცხოველები. ხეები ტურფათ შეიმოსნენ ნაზის ფოთლით. ვაშლის, ატამის და მსხლის ხეხილი გადიფურჩქნა ყვავილებით. ბუზი, ფუტკარი, პეპელა ათასობით დაჰსტრფოდა მათ.

მზე ესროდა სიცოცხლით სავსე სხივებს დიდად მომთმენ ქართველ გლეხის ზურგს, გლეხი-კი, იმედებით სავსე, ღვრიდა ოფლს და ტკბილად ოცნებობდა მომავალზედ.

კეთილი მთვარე ღამღამობით ისევ ეშხით სავსე იდუმალობით ანათებდა არე-მარეს, თან ვარსკვლავები დასციმციმებდნენ ცოდვილ ქვეყანას და ელვარებით აბრწყინვებდნენ გალვიძებულ ბუნებას... ბულბული, ახლად მოსული, დაჰსტვენდა ამა სოფლის სიამეს...

უცებ ბუნებამ მოიქუშა: ცა გაივსო უსიამოვნო ღრუბლებით, ლოდივით დააწვა იგი ქვეყანას... ვერც ერთი ცხოველმყოფელი სხივი მზისა ველარ აღწევდა ქვეყანას... ვერც ვარსკვლავის... არცა რაიმე სინათლე მოსჩანდა. ცივმა წვიმამ იწყო თქორვა... დათუთქა ყვავილები, კოკორი. ყურები ჩამოაყრევინა ხეებს—მცენარეებს... ხმა გაუკმიდა ბულბულს, ნიადაგი აატალახა და ოააყენა ყველგან წუმპის ტბორები...

შესწყდა მიმოსვლა, საქმიანობა, მუშაობა. ყველა ცდილობდა შესვლას საფარ ქვეშ, საიდანაც უსიამოვნოდ გაჰყურებდა სულის შემხუთავ ამინდს... ვერვინ ატყობდა, სად იყო მზე. ან რა ჟამი იყო დღისა: დილა, საღამო შუადღე. ზოგს ისე მოჰბეზრდა, რომ სიცოცხლე ეზარებოდა...

მზეს დავნატრულდითო,— შეჰჩიოდა ერთმანეთს ხალხი. ბევრი სულ-წასული ტანჯვით ამბობდა: ველირსებით-ღა იმ დალოცვილს, მის ძვირფას სხივებსო...

ღრუბლებს-კი უფრო ემატებოდა სისქე... შავი უსიამოვნო ფერი... ზოგჯერ ნიავიც დაიძროდა ხოლმე, მაგრამ ერთ ადგილიდან რომ გადახვეტდა ღრუბლებს, გამოაჩენდა სერს, მთას. მაღლობს... მის ნაცვლად ერთ წამს სხვა უფრო შავბნელი ღრუბელი წამოეფარებოდა. . ხალხს გული, ხალისი დაეხურა და ისმოდა უსიამოვნო ბუტბუტი წინააღმდეგ ბუნებისა.

მეც ვბრაზობდი, ვსაყვედურობდი ბუნებას და ვნატრობდი ძრიელ ქარიშხალს, მაგრამ სად იყო...

ერთხელ შუაღამე იქნებოდა გადასული, გარედ გამოველ და ჩავაჩერდი უკუნ, უსიამოვნო სიბნელეს... უცებ იელა. საშინელი სინათლის ხლაკვნისაგან თვალებზედ ხელი მივიფარე. ამ დროს გაისმა ძლიერი ხმა ჭექა-ქუხილისა. ამ გაელვებას მოჰყვენ სხვები, უფრო ელვარენი და ნათელნი... ასტყდა საშინელი ჭექა-ქუხილი. ღრუბლები შეჯგუფდნენ და ატირდნენ საშინელის შხაპუნა წვიმით. გათენებამდის ჩამოიცალნენ ქვეყანაზედ. ქვეყანაც უძლებდა, იდგნობდა...

გათენდა. გაწითლდა საამოთ აღმოსავლეთი, ცაც საამოდ გალურჯდა და ზედ ნაზად აფრიალდა ვარსკვლავები...... უცებ უფსკრულიდან გამოჰკრთა მზის ცხოველმყოფელი სხივებიც.

სადღაა სევდა, გაჭირვება, ყვედრება.. ყველა ხარობს, ტყეც ხმაურობს სიცოცხლე ადუღდა. სიცოცხლეს ლოცვა-კურთხევას უგზავნიან. ბუნების ნიჭით სტკბებიან......

ოჰ. კარგია სიცოცხლე ნათელში. კარგია, როდესაც გათბობს და გინათებს ცხოველ-მყოფელი მზე.

ვაი უმზეობას, უსინათლობას, უსითბოებას...

**ზაქარია გულისაშვილი.**



ეპიზოდები 1905 წლის მოძრაობიდან საქართველოში.

ნახ. გოგიაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართლის სოფელი 1905 წელში

ჭროლვა ქალაქებიდან სოფელს მოედო. ნიავი ქოხებს ეწვია.

უხილავი ძალით გლეხის კერას შეუხტებოდა და ასეული წლებით გაკაჟებულ მის გონებას ულიტინებდა.

ეკლესიის ზარის რეკა, ახლა მის სმენას სხვა გზით შეესმოდა და მის გულისყურს სულ სხვა რამეს ამცნებდა.

დაირეკებოდა ზარი და ისიც ეკლესიის გალავანს ეშურებოდა, ხოლო მწირველი ახლა ანაფორაში გახვეული ღვდელი კი არ იყო!

უმაღლესი სასოებით ყურს უგდებდა ახალ მოძღვრებას და მისი გული სიხარულით ჩქროლავდა, როგორც უნდა ჩქროლავდეს გლეხის გული, როცა ცის ტატნობზე შავი ღრუბლები, სეტყვისა და ქარიშხალის მომასწავებელი, უცბათ გაიფანტება, ჭირნახულს განადგურება ასცდება და კრიალ ცაზე მზე გამოჩნდება.

გლეხს უბრწყინავდენ თვალები, ულიმოდა სახე, უმღეროდა გული!..

ხოლო გონების ერთი ნაწილი, ცალი თვალით მოჭუტული, იჭვიანად გამოიყურებოდა.

— სოფელში, სოფელში უნდა წავიდეთ!

— იქით უნდა გავწიოთ!

— ქალაქის მუშა უკვე მზათ არის!

— საჭიროა სოფელმა მხარი დაუჭიროს!

და ჩვენც ვეშურებოდით...

ქართლის სოფელი! ქართლელი გლეხი, როგორც დათვი თავის ბუნაგში მომწყვდეული, ზანტი, მოუხეშავი, ჩამჯდარი კისრით; ფარაჯაში გახვეული, მოღუნული თავით, ილლიაში სახრით, პაჭიჭებით და ნაბდის ქუდით.

იმის თვალებში მუდამ იჭვია, როცა ელაპარაკები, შორს იცქირება, ღრმად ფიქრობს. მისი აზროვნება გუთანისავით მილოლავს. ბევრი ფიქრის შემდეგ მიხვდება,— მაგრამ თავისებურათ.

— რა ვიცი, რა ვიცი! რასაც ლაპარაკობთ სიმართლე კია და!.. მაგრამ, ი რუსის ხემწიფე რას ამბობს მერე ამის შესახება?.. არა თანხმდება ჰა?.. მაშა, აბა ისიც კნიაზების მომხრე ყოფილა!.. ეეეჰეი!. დახე, დახე!.. მერე და, რუსის ხემწიფეს ვინ მოერევა?.. მუშები და ჩვენა?.. ეეეი... რა ვიცი, რა ვიცი!..

— ყველაფერი კარგია ე თქვენი ლაპარაკი, მაგრამა ე ღვდლის შესახებ რომა ბძანებთ, ის კი აღარ მოდის ჭკუასა! აბალე, თუ არაფერს მივცემთ, როგორ იცხოვროს ღვდელმა?.. აბა, ეს ეკლესიები და ხატები სულ ტყუილი ყოფილა, რაღა! არა, შვილოსა, როგორც ჩემ მამა-პაპას უწირნია, ისე უნდა ვწირო მეცა სხვამ რაც უნდა, ისა ქნას!..

— სუ ი მოურავის ბრალია, თორემა ი ჩვენი კნიაზი კი არ არის ურიგო კაცი!

— მოურავია, მაშა! ოი, ერთი იმისი კისერი მომაგრეხინა და სხვა არაფერი არ მინდა!



ეპიზოდები 1905 მოძრაობიდან საქართველოში.

ნახ. გოგიაშვილის.

— მაშა, მაშა! აი კიდევ ჩვენი აქციზისა!.. კაცო, ამაზე მეტი უსამართლობა რაღა იქნება, ჩემი ჭირნახულიდან არაყი ვერ გამომიხდია და ვერ დამილევნია!.. ესაო აქციზიო, ესაო გადასახადიო, ესაო ფოჩტი ფულიო, ესაო გზირიო, რა ვიცი კიდევა!.. ვეღარ აუვედი კაცო ყველაფერსა! კაცი ვარ, რკინა ხომ არა ვარ!..

— არა ძმაო! ჩვენ გაჩენაში ღმერთი არ ურევია!.. მაგრამა! ეეეი!.. რა ვიცი, რავიცი!..

პირველად რომ ქართლის სოფელში შევედი, საღამო ხანი იყო. ურმიდან ჩამოვხტი და სოფლის ორღობეს ფეხით გავყევი. ახალგაზრდა გლეხიც ჩამოხტა კოფოდან. შუა სოფელში რომ შევედით, მითხრა,—ცოტა ხანს აქ მომეცადნა, სანამ კამეჩებს გამოუშვებდა და მერე დანიშნულ ალაგას წავიდოდით.

ვიდექი და პაპიროზს ვწევდი. ვამჩნევდი როგორი გაფართოებული თვალებით მიცქეროდენ სოფლის პატარა ფეხშიშველა ბიჭები. გვერდზე ამივლიდენ, შემომივლიდენ და მერე კალოს ღობეს იქით დამალული ჩუმათ გამოიყურებოდნენ.

შემთხვევით გავლილი ქალები თავსაფარს გაისწორებდნენ, პირს დამალავდნენ და ცდილობდნენ მალე სახლს ან ბოსელს ამოეფარებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისმოდა ძროხების ბღავილი და ხბოების გამოძახილი.

ადრიანი გაზაფხული იყო. ჰაერში კიდევ ზამთრის სუსხი იდგა. გლეხები სახლის ქვედა სართულში ცხოვრობდენ საქონელთან ერთად.

მალე ჩემი თანამგზავრი გლეხი დაბრუნდა. თან რამდენიმე გლეხი მოჰყვა. მივესალმეთ ერთმანეთს. შევხედეთ. ვუცდიდით რაღაცას.

ჯოხებზე დაყრდნობილი მოხუცები მიწას დასცქეროდნენ. ახალგაზრდები ფაცურობდნენ, თვალებში სიხალისე და ნაპერწკალი კიაფობდნენ.

— სადა სჯობია ლექსო?—ეკითხება ერთი მეორეს.

— სიმონას სახლში არა სჯობია ვითომა?

— სიმონას სახლში კი არა და! აბა, იქ ვინ დაეტევა? მაშ აბა, პეტრესთანა! ზევითა ოთახი ცარიელი აქვს!

ერთი ახალგაზრდა გაიქცა მეზობელ სახლისკენ.

მეძნელებოდა გლეხებთან უჩვევი საუბარი, ხალისი კი დიდი მქონდა:

ანთებულ საკირეს ემსგავსებოდა ჩემი გული.

და იქ, სადაც გულია, ორი ანთებული სიტყვა მრავალ ტომიან წიგნაკებს სჯობია!

აივანზე ვიდექი და ვამჩნევდი, როგორ იკრიბებოდენ გლეხები. თავს მიკრავდენ და ოთახში შედმოდენ ხელსახოცებში გახვეული საგზლით.

გრძელი ოთახი ორი მხრიდან მთლიანი და დაბალი ტახტით იყო მოცული, ბოლოში კი ქვის დიდი ბუხარი.

ტახტის შუა ალაგს სუფრას შლიდენ და ზედ აწყობდენ კომბოსტოს, ქარხლის წნილს, ლობიოს, ბოლოკს, წვანილსა და ბოთლებით არაყს. მუხლმოკეცით სუფრას შემოუსხდენ. მე სუფრის თავში მიმიწვიეს, მხოლოდ მამაკაცები იყვენ.

როცა ჩემსკენ მომართულ სახეებს შევხედე, ჭაღარა წვერებით, განიერი წარბებით, სუფრისკენ რომ მუხლის იდაყვები მწკრივად გამოეშვირათ,—შევკრთი, დავიბენი. მაგრამ დამზადებული ფრაზები ჰოვიშველე და მათ ჭირ-ვარამზე ვიწყე ლაპარაკი.

— ჰეეჰეი!.. დახე, დახე!.. ნამდვილია მე და ჩემმა ღმერთმა!.. წამოიძახებდა ვინმე გლეხი.

— ჰო და, თავიდან მოვიშოროთ ბატონები, აღარ გვინდა ღვდლები, ავლაგმოთ ჩარჩები და მოვსპოთ ჩაფრები!..

— მოვსპოთ, მოვსპოთ! გაიძახდენ ახალგაზრდები.

ოთახში ნახევრად წყვდიადია. ბუხრის თავზე ჭრაქი ოდნავ ბჟუტავს.

ტახტზე წამომსხდარი მუხლები და ჩემსკენ მოძართული თვალები, ოდნავ აციალდებიან ბუხარში დანთებულ ცეცხლის ალისგან.



ეპიზოდები 1905 წლის მოძრაობიდან საქართველოში.

ნახ. გოგიაშვილისა.

გუზგუზებენ ნაკვერჩხლები, იფანტებიან ნაპერწკლები და დროგამოშვებით ავარდება ალი.

ვგრძნობ: მალე აინთებოდა კოცონი!

—:—

— ბიჭო გიო! არ გესმის?..

— რა იყო, კაცო!

— რა და, აისემეს... აისემეი... კაცო, რა ქვია! აი, სოსია მეკრამიტეებია *) თუ რაღაც ერობის კაცები!..

— მერე რა იყო?

— რა იყო და, ის იყო რომა, თუ კი აი ჩვენი მეზობელი სოფელი შეეფიცა, ვითომ ჩვენ რატომღა არ უნდა შევეფიცოთ იმ ერთობასა?

— მერე?

— მერე ისა, რო სოსია მეკრამიტეები უნდა მოვიყვანოთ ჩვენცა!

— მერე და, სად არიან?

— სად არიან და გურულები არიან.

— მერე, მეც მაგას გეკითხები, სად არიან მეოქი?

— სადა და, აი ჩვენებიანთ ლექსომა ყველაფერი კარგათ იცის!

*) ქართლში პირველ ხანად სოციალ-დემოკრატებს,—სოცია მეკრამიტეებს ეძახდენ.

— კაცო, რას ამბობენ, რა გვინდაო, ყური არ მოგიკრავს მაინცა?

— რას ამბობენ და ბატონი არ გვინდაო, პრისტავი არ გვინდაო, არავის აქციზი აღარ უნდა იყვესო, ღვდელს დრამა არ უნდა მივცეთო,—ყველანი ერთი უნდა გავხდეთო!..

— ჰეეჰეი!.. ღმერთო შენს მადლსა! მერე, თუ აღარც ბატონი იქნება, აღარც პრიჰტავი, აღარც ღვდელი, მაშ ვინ უნდა იყოსო აბა!..

— ვინა და, ერთობაიო!

— ერთობაიო?..

— ჰო, ერთობაო! რით ვერ გაიგე?

— მაშ აბა, ჩვენც უნდა მოვიყვანოთ ი ერთობაა რაღაცა, თორემა... ხომ იცი, საითკენაც ქვეყანა წავა, იქით უნდა წავიდეთ ჩვენცა!.. ასე არ არის კაცო?

—ჰო და, მაგას ვამბობ მეცა!..

ყოველი სოფელი ცდილობდა, რომ მასაც მიეღო ერთობის კაცი. დადიოდენ გლეხები და ეძებდენ ერთობის ხალხს. მოთხოვნილება დიდი იყო, მუშაკები კი ცოტა. გაჩნდენ ისეთები, რომელთაც ორგანიზაციის დაუვალებლად იწყეს სოფელში სიარული.

—:—

კიდევ კარგი, სახლში დამიხვდი! ოთახში შემოსვლისთანავე მეუბნევა მახლობელი სოფლის მასწავლებელი.

— რაშია საქმე?—ვეკითხები.

— შენი ჭირიმე, უნდა გვიხსნა!

— როგორ, რაშია საქმე?

— კაცო, ჩვენი სოფელი ყველაზე დიდი სოფელია, ინტელიგენცია საკმარისია და სირცხვილი არ იქნება ვიღაცები მოვიდენ სალაპარაკოდ?

— როგორ ვიღაცები! ალბათ ჩვენი პარტიის ხალხი იქნება!

— საქმეც მაგაშია, რომ არა!

— მაშ ვინ არიან?

სამი თუ ოთხი ერთად დადიან, შეიარაღებული არიან, ფეხით სიარულს არ კადრულობენ, უსათუოდ ცხენი უნდა მიართვა! მთელი იმ კუთხის გლეხ-კაცობა მოწიწებით ეპყრობა, სულ იმათ მზესა და სახელს ფიცულობენ. ეხლაც იმათ მოსაყვანად წავიდენ გლეხები. ჩვენ სხვა არავინ გვინდაო! ბევრი ვუშალეთ მაგრამ არა ქნეს! თუ ძმა ხარ, უნდა წამოხვიდე და ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანო.

— კრება როდისთვისაა დანიშნული?

— ხვალისთვის! მახლობელ სოფლებიდანაც მოვლენ. დიდძალი ხალხი იქნება!

— ისინიც იქნებიან, არა?



— ჰო, იმათაც მოიყვანებენ!..

ძალიან მინდოდა მათთან შეხვედრა. მსურდა გამეგო: რას ლაპარაკობდენ, როგორ, ვინ იყვენ, საიდან და სხვა.

მეორე დღეს შუადღისას გაისმა ეკლესიის ზარის რეკა. დიდძალი ხალხი შეიკრიბა ეზოში.

სამრეკლოზე ავედით, მხოლოდ ვხედავდით თავებს.

ვილაპარაკეთ. და ის იყო მიტინგი თავდებოდა კიდეც, რომ უცბად გაისმა თოფების სროლა და ცხენების ფეხის თქარა-თქური.

თავები იქით მიტრიალდენ, ნაპირს მდგომნი იქით წავიდენ, საიდანაც სროლა მოისმა. პატარა ბიჭები კი ხტუნვით შეეგებენ ცხენებზე მსხდომ ნაბდიანებს.

თავები ისევ შეჯგუფდენ. აქეთ წამოვიდენ. ამ დროს სამრეკლოზე სამი შეიარაღებული ნაბდიანი ამოვიდა. ერთი მათგანი წინ წამოდგა, მეორემ მას ნაბადი ჩამოართვა და უკან დადგა.

პირველმა რევოლვერი იძრო და სამჯერ ჰაერში ისროლა.

„ძირს მტარვალი! ძირს მტარვალი! ძირს მტარვალი!“ სამჯერ დაიძახა.

მერე ისევ უკან მოტრიალდა და ამხანაგის მიერ ჩამორთმეული ნაბადი ისევ მხრებზე მოისხა და დაიწყო ლაპარაკი.

იმის სიტყვებში ხშირად ისმოდა სიტყვა „მტარვალი“ და ყოველ ამ სიტყვის წარმოთქმაზე დასჭექდა რევოლვერი, რასაც ნაპირად მდგომი პატარა ბიჭები ხტუნვით შეხვდებოდენ ხოლმე.

იმუქრებოდა, იგინებოდა, ძარღვებს სჭიმავდა, ყოველი ფრაზის შემდეგ შეჩერდებოდა.

„აქნამდისინ თუ ჩვენი ქალები მიდიოდენ კოკით წყალზედა, ახლა იმათი ქალბატონები უნდა გავგზავნოთ წყალზედა. აქნამდის თუ ჩვენ ვურეცხამდით იმათ სარეც-

ეროვნული

ხსა ახლა იმ ქალბატონებმა უნდა გაგვირეცხონ სარეცხი, თუ ჩვენი დედები აქნამდის იმათი უცხობდენ თონეში პურსა, ახლა იმათ უნდა გამოგვიცხონ პური, ერთი სიტყვითა, კმარა აქნამდის რომ გვყვლეფავდენ. შავი დღე უნდა დავაყენოთ ჩვენ ბატონებსა და მათ ამყოლ დამქაშებსა... ძირს უნდა გადმოვაგდოთ მტარვალი ნიკოლოზი და ყველა მისი მომხრეები! გაუმარჯოს მუშათა პარტიასა! გაუმარჯოს ერთობასა! ძირს მტარვალი!..“

ათავებდა ის სიტყვას.

სიტყვის გათავებისას კიდევ რამდენჯერმე ისროლა რევოლვერი, რამდენჯერმე შესძახა „ძირს მტარვალი“ და სამრეკლოდან ჩამოვიდა.

— ჰოი, შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!.. გაიძახდენ გლეხები და მისდევდენ უკან.

მე ვხედავდი, როგორ გატაცებით მისდევდა შეიარაღებულ აგიტატორებს ალგზნებული ხალხი, როგორ უღიმოდათ ყველას სახე და როგორი იმედი ესახებოდათ თვალებში.

ისინიც არ სტოვებდენ მათს იმედს დაუკმაყოფილებლად და დაუზოგავად ჰხევდენ ჩარჩ სომხების გლეხებისგან მიღებულ თამასუქებს.

—სად არიან ისინი?—ვეკითხები ჩემ მაპინძელ მასწავლებელს.

— ერთი გლეხის ოჯახში.

— უნდა ვნახო როგორმე, გავიგო რა ხალხია!

— იმათაც კაცი გამოუგზავნიათ, ნახვა გვინდაო.

— მაშ, მოვიდენ აქ, გაგზავნე ვინმე.

პატარა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ნაბადში გახვეული თვრამეტ-ცხრამეტი წლის ახალგაზრდა. პატარა შავი თვალები, ხაფანგში მომწყვდეულ თაგვის თვალებივით ცქრიალებდენ, გრძელ ბეწვიან ფაფახ ქუდის ქვეშ.

— გამარჯობათ!

— გამარჯობათ!

— სხვები რატომ არ მოვიდენ?—ვეკითხები.

— ისინი ისე არიან ხოლმე ჩემთან, ამხანაგები არიან, არ წამოვიდენ.—მოკრძალებით მეუბნება. თავს უხერხულად გრძნობს. მიმოხვრა კი სწრაფი და თავისუფალი აქვს. ნაბადი და ქუდი მოიხადა, კარებთან მიდო.

შავი ხალათი და გახუნებული, წაღებში ჩატანებული შარვალი,—ეხლა მას უფრო აახალგაზრდავებს. და ჩემს თვალწინ ჰქრება, ის გაბედული, დაუზოგველი და მრისხანე,—მტარვალის შემმუსვრელი,—წეღან რომ სამრეკლოზე რიხიანად ლაპარაკობდა.

— თქვენ რომელი ორგანიზაციის დავალებით მუშაობთ?—ვეკითხები.

— მუშათა პარტიის სახელით.

— ვისთან გაქვთ დამოკიდებულება?—კიდევ ვეკითხები.

— მე ამხანაგები მყავს ქალაქში, პროკლამაციებს მომიტანენ ხოლმე!..

— მუშაობთ სადმე?

— რკინისგზაზე რომ ხიდს აკეთებენ, იქ ვმუშაობდი, ქალაქიდან წამოვედი.

— ეხლა აღარ მუშაობთ?

— ერთი თვეა რაც ასე დავდივარ! ხიდზე რომ ვმუშაობდი, მახლობელ სოფლის გლეხებს ვიცნობდი და მუშათა პარტიის საქმეს ვაცნობდი. ერთხელ დიდი კრება ჰქონდათ გლეხებს, მე მთხოვეს მელაპარაკნა.

ამის შემდეგ ასე მიწვევენ გლეხები და მეც დავიარები.

იმერული კილო, მკვირცხლი თვალები—მიმზიდველობას იწვევენ, იმანაც იგრძნო ჩემდამი ნდობა და ამხანაგურად, ინტიმურად დამიწყო ლაპარაკი. შევძელი მისი მოკლე ბიოგრაფია გამეცნო.

ზემო-იმერეთის ღარიბი გლეხის შვილი, თავის სოფლიდან რკინის-გზის ლიანდაგიდან ახლო მდებარე სოფლის ორკლასიან სკოლაში დადიოდა ხუთი ვერსის მანძილზე.

ზაფხულში, როცა სკოლაში სწავლა სწყდებოდა, სოფლიდან მოჰქონდა ბალის ქერქიდან გაკეთებულ, [illegible]ში ჩალაგებული: ხილი შავი ქლიავი, ჭანჭური, ვაშლი, მსხალი, თხილი, ლეღვი, ბროწეული, წაბლი და სხვა. სადგურზე ჰყიდდა მატარებლის გავლის დროს.

— აბა ლეღვი, ლეღვი!.. ვაშლი, ვაშლი!.. შაური, შაური!..—გაიაძახდა.

გადასწყვიტა შაურების მოგროვება. მეზობელი ეგულებოდა თბილისში. მისი მისამართი ჩაიწერა და ერთ დღეს გაეპარა მამას თბილისში.

მას უკან არც დაბრუნებულა სოფელში. პირველად ერთ ქარხანაში შეგირდად დადგა. ხელობა შეისწავლა და მალე რკინის გზის დეპოში შევიდა მუშათ.

აქ გაეცნო სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას.

კითხულობდა წიგნაკებს, „კვალს“, ბროშიურებს, პროკლამაციებს. დადიოდა წრეში.

მე მივეცი თბილისის კომიტეტის მისამართი, წერილი, დარიგება, ვუთხარი, რომ უსათუოდ მალე წასულიყო თბილისში და საჭირო განმარტებები მიეღო მომავალი მუშაობის წარმოების შესახებ.

საღამო ხანი იყო. მიდამოს რუხ სუდარაში გახვეული ნაცნობი მგზავრი ეუფლებოდა.

ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, რომ კვლავ შევხვედროდით.

—:—

აისის ნიავი, ნოყიერი და მძლე, ხის მწვერვალოების ფოთლების რხევას სცილდებოდა. ახლა იგი დაბლობზე ჩამოდიოდა და ქროლვათ იქცეოდა.

ქროლვით და გრიალით გადადიოდა იგი ერთი სოფლიდან მეორე სოფელში და თავისი მოუსვენარი შეხეთქებით გლეხის ქოხს კოდალასავით უკაკუნებდა. სახლის ერდოზე გაიქროლებდა და იქიდან სადგომში ჩახტებოდა; შუა ცეცხლს მიუხტებოდა და მის მუგუზალებს, ნაცრით რომ იყო შეხუთული, შეჰბერავდა, გაქქდა და ნაპერწკლებსააფრქვევინებდა.

უხილავი ენერგიით ილეწებოდა და იტკლიცებოდა საუკუნოებით დაკაჟებული რწმენა და შეგნება. ინგრეოდა ცხვრების მიერ შექმნილი ზღუდეები; კედლები ნაპრალებს აჩენდენ და იქიდან იმედიანი სხივი გულს მალამოდ ეფინებოდა.

ისმოდა ყრუ და უხეში ხმაური უცნაური ქროლვისა. ხან აქ და ხან იქ ეს ქროლვა გრგვინვად იქცეოდა და მეზობლის მიწყნარებულ ეზოს შხეფებს აჰკუპრებდა.

ქართლელი გლეხის გულისყურიც იქით იცქირებოდა და, განცვიფრებული, ღია თვალებით სივრცეს გასცქეროდა,—გაურკვეველი.

საღამო ხანს დაღლილი და წელში გატეხილი,—მეზობლისას გადავიდოდა ყალიონს გააბოლებდა, დიდი თითის ფრჩხილით ყალიონში თუთუნს ჩასტკეპნიდა, გვერდზე გადააფურთხებდა იქვე მეზობლის ბოსელთან ქვაზე ჩამოჯდებოდა.

სახრეს გვერდზე მისდებდა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნობოდა და საუბარს გამართავდა.

— ბიჭო, ე გურულები რას შვრებიან, გაიგე? მთავ-აღარ იღრინება, რა დაემართა?

— როგორ არ დაემართა შვილოსა? ვერ ხედავ, ამ ერთობის ხალხმა როგორ მოუგრიხეს კისერი?

— ბიჭო, ე გურულები რას შვრებიანთ, გაიგე? მთავრობა სუ გადმოუგდიათ და თავიანთ ხალხი დაუყენებიათ სულა!

— ჰეეეჰეი!.. ვენაცვალე იმათ გამჩენსა!

— მაშა, აღარც პრიჭტავიო, აღარც მამასახლისიო, აღარც ჩაფარიო და აღარც არაფერიო!..

— აქციზი? აქციზიც მოუსპიათ?

— მერე? ჩვენა, შვილოსა? ჩვენ ასე უნდა ვიყვეთ?

— მუსპიათ მაშა! იმდენ არაყსა ხდიან თურმე, რამდენიც უნდათ.

— მა რა იქნება შვილოსა, რა! აბა, ჩვენ რა შეგვიძლია! იქა, შვილოსა, სულ სხვა ხალხია! მაშა!.. სულ ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თობის ხალხია!

— მერე, ჩვენც აკი შევეფიცეთ ერთობასა?..

— მერე, რო შევფიცეთ! ვერ გაიგე, რომ ჩვენ თავადებსა, რაზმი შეუდგენიათ?

— მერე, ჩვენც შევადგინოთ შვილოსა რაზმი!..

— მერე შენ საიდან შეადგენ შვილოსა, რომა იმათთვისა მთავრობას მიუცია იარაღი? მაშა!

— მერე რა. ვითომა ჩვენს ერთობასა გაუძლებენ ისინი?

— როგორ ვერ გაუძლებენ, რომა ისინი იარაღით იქნებიან და ჩვენ კი უიარაღონი!

— ჰეეჰეი! ჩვენი ერთობა ეგრე არ გაუშვებს მაგასა!.. რა ვიცი! რა ვიცი!..

გლეხები გრძნობდენ, რომ სიტყვებს და სურვილებს საქმე უნდა მოჰყოლოდა, ხოლო საჭირო იყო მოთავე.

უკვე მოდიოდა ხმები, რომ გაღაღმა სოფელში ერთობის კაცი დაუჭერიათ თავადებს და გაულახავთო...

მოდიოდა ხმები, რომ მთელ რიგ სოფლებში თავად-აზნაურობის მიერ დაარსებულა შავი რაზმები; რომ მთავრობამ მათ დახმარება გაუწია და იარაღი დაურიგაო...

მოდიოდა ხმები, რომ ტკვრის გაღმა სოფელში ეგზეკუცია ჩაუყენებიათო.

გლეხების გაქანებას თან სდევდა რეპრესიები, ხოლო ერთხელ დაწყებული ქროლვა არ ჩერდებოდა და გრიგალის სახეს იღებდა.

—:—

თავზარ დაცემული თავად-აზნაურობა სოფელს სტოვებდა და ქალაქში გარბოდა.

გაკაპასებული ქალბატონები მიადგებოდენ გლეხის ცოლებს და ლანძღვითა და ყვირილით ეუბნებოდენ:

„არა, თქვე გასაწყვეტებო, თქვენა! როგორა გგონიათ! ი დიაკვნის წინტლიანი გიგუცა ჩამოაგდებს ხემწიფესა?.. მოიცათ ერთი, მოიცათ?.. ძალე ნახავთ, როგორ ამოგლიჯენ ი გაგძელებულ ლაქლაქა ენასა!.. გენაცვა, გაგიგონიათ?.. ხემწიფე არ გვინდაო, ბატონი არ გვინდაო, ღვდელი არ გვინდაო, აბა, ის ყოფილა ყველაფერი!.. მანამ არ ადგება მისი გვერდებიდან, სანამ ჩვენ სახლ-კარში იმან არ იფარფაშოს!.. მოდი ახლა და კაცს სიკეთე უყავი! ის არ იყო, სტუდენტი რო გახდა, ჩემმა ქმარმა დახმარება არ მოუჩინა და რუსეთში წასასვლელი ფული მისცა? მერე ამისათვის მიდიოდა რუსეთში? მაგრამ რა იმის საქმეა სტუდენტობა! აკი ამიტომაც გამოაბუზურეს ი უნივერსიტეტიდანა? ახლა ჩამოსულა აქა და ვინცარამკითხესავით ლაქლაქობს!ქალო, რითი ვერ გაიგეთ, რომა ბატონობაც ღმერთისა და ხემწიფისაგან არის დაკანონებული! ვის გაუსწორებია მთა და ბარი, რომ იმან გაასწოროს, ჰა?.. აბა, შეიძლება?.. ჰოი, ისე მე მქონდეს დიდი დღეი, როგორც იმას ყველაფერს ჩაამწარებენ!.. მოიცათ ერთი, მოიცათ! მოიცათ, ერთი მოგროვდეს ჩვენი თავად-აზნაურობის რაზმი? ისეთი დღე დაგადგეთ, რომა!.. მოიცათ ერთი, მოიცათ!..“.

თავად-აზნაურების რაზმი მართლა იკრიბებოდა.

შეშინებული და დამფრთხალი თავად-აზნაურობა თბილისში იხიზნებოდა. გლეხთა მოძრაობა მოულოდნელი მეხივით დაატყდათ თავზე. მთავრობის ნებართვით ისინი ქალაქში კრებებს ჰმართავდენ. შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდენ.

რაზმი იარაღდებოდა, კრებებს აწყობდა, ხან ერთ თავადისას. ხან მეორე თავადისას ბანაკს ჰმართავდა.

გლეხის ინსტიქტი მაშინვე მიხვდა მან კარგად იგრძნო ვისკენაც და რისთვისაც იქნებოდა გამოყენებული ეს იარაღი. ამიტომ თავად-აზნაურობის რაზმს მან შავი რაზმი დაარქვა და თვითონ კი წითელი რაზმის შედგენას მოჰკიდა ხელი.

დადიოდა ხმები, რომ მტკვრის გაღმა გლეხები დაეცენ ბატონის სასახლეს, მოსამსახურეები გარეკეს და იარაღი წაიღესო.

დადიოდა ხმები, რომ მრავალ ადგილს ჩაფრებს იარაღი ჩამოართვეს და გლეხები თვით შეიარაღდენო.

—:—

ატეხილი გრიგალი უხეში და უტეხი ძალით დიდრონ ხეებს ჰლუნავდა და ჰბღლვნიდა, ზუზუნი და ხმაური გაჰქონდა. ერთი დაქროლვა კიდევ და ხეებს ძირიანად ამოაგდებდა.

კიდევ მოდიოდა ხმები გურულების თავგანწირულ ბრძოლის შესახებ.

კიდევ აღრფთოვანებაში მოდიოდენ ქართლელი გლეხები. უფრო გამალებით ჩქროლავდა გული. უფრო ფართედ იხსნებოდა მათი ქუთუთოები.

—:—

ამ ყრილობას შემთხვევით წავაწყდი. შევერიე ხალხში, შევხედე მოლაპარაკეს.

ახალგაზრდა ყმაწვილი. ჰასაკში შესული ხმის ბგერა. დაბეჯითებითი, გადამწყვეტი, მოკლე ფრაზები.

ახლა უკვე გლეხისათვის შემუშავებულ დებულებებს ანვითარებდა და მწყობრად, დალაგებით, როგორც დახელოვნებული ორატორი ჰფანტავდა სიტყვებს,—გლეხების გულს რომ მალამოსავით ეფინებოდა.

უხილავი ძაფი იყო გაბმული მასსა და მსმენელთა შორის. და ის გრძნობდა, რომ უხილავი ძალა მას აძლევდა უპირატესობას; მისი სიტყვები უშუალოდ იჭრებოდა გლეხების გულში და შეუცნობლად მოქმედებდა მათზე.

„ოი, შენი გამჩენის ჭირიმე, ნიკო გურულო, შენი!..“—წამოიძახებდა ჩემს გვერდში მდგომი გლეხი.

ნიკო გურულის სახელი გაგონილი მქონდა. იმ რაიონში ის იყო, გლეხის გულს რომ ჰხიბლავდა. ხოლო არ ვიცოდი თუ ნიკო გურულს უწოდებდენ, პირველად, რომ კრებაზე შევხვდი ნაბადში გახვეული და ერთ დროს რომ ლეღვსა და ვაშლებს ჰყიდდა გატაცებული.

ახლა ნიკო გურული გამხდარიყო გლეხების იმედი და სასოება. ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. ისიც დადიოდა სოფლიდან სოფლად და გლეხის გულში კოცონებს ანთებდა

რომ შევხედე, მეუცნაურა. თითქოს გაზრდილიყოს, დავაჟკაცებულიყოს სულ ორიოდე თვის განმავლობაში.

მისი ხმა, მკვეთრი და ბეჯითი, გლეხებს მოუწოდებდა მიებაძათ გურულ გლეხებისათვის: ბოიკოტი გამოეცხადებინათ თავადებისთვის, მოეშალათ ადმინისტრაციის აპარატი, შეეწყვიტათ გადასახადის მიცემა. „ჩვენ ვერ მოგვიხმარია ჩვენი ჭირნახული ისე, როგორც ჩვენ გვინდა და აქვე კრიჭაში ჩაუყენებიათ აქციზი განა დრო არ არის, ამხანაგებო, ბოლო მოეღოს ამ უსამართლობას? განა დრო არ არის, მოვსპოთ აქციზი და მისი სამმართველო?“—გაიძახოდა ის გატაცებული.

„დრო არის, დრო!“ „უნდა მოვსპოთ!“ „ერთი მაგისი კისერი მომაგრეხინა და სხვა არაფერი მინდა!..“—დაიძახეს უკანა რიგებში. შეიქნა ჩოჩქოლი, მითქმა-მოთქმა. უხილავი ტალღა დასცურავდა შეჯგუფულ ხალხში. „მართალს ამბობს, მედაჩემმა ღმერთმა“. „როდემდის უნდა ვიცადოთ. რომ აღარ ვიცი!..“ „უნდა მოვსპოთ, უნდა მოვსპოთ!..“.

„ბიჭებო! ამ კეტს ხომ ხედავთ!“—დაიძახა ერთმა მაღალ ტანიანმა ახალგაზრდამ, რომელიც ჰაერში ატრიალებდა ხელში დაჭერილ კეტს და ათამაშებდა—„აბა, ვინც ბიჭი ხართ და გამომყვებით!..“ და ფიცხლათ გადახტა განზე.

მას გაჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე და მთელი ჯგუფი თითქმის სირბილით გაემართა გალავნის ალაყაფის კარებისკენ.

მერე უცბად იხუვლა მთელმა კრებამ და ჯგუფს უკან გამოედევნა.

„ყველა წამოდით, ყველა! აქ არავინ დარჩეს, თორემ გიტირებთ დედასა!“..—დაიძახა ერთმა ახალგაზრდამ.

ხალხი აირია, დაიძრა. ზოგი წინ მირბოდა, ზოგი განზე. გალავანს რომ გასცდენ, ოროლობის სარებს მისცვივდენ და კეტებათ მოიმარჯვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქციზის კანცელარია სოფლის ნაპირად იყო. ორღობეში გაფანტულ ცხვრის ფარასავით მიდიოდა ხალხი. წინ მირბოდა პატარა ჯგუფი,—კეტებით მომარჯვებული ახალგაზრდები, შემდეგ რჩებოდა მანძილი და კიდევ ჯგუფი. მერე კი ქალები და მოხუცნი. ბავშები სირბილით წინა ჯგუფს მისდევდნენ.

სირბილით გაიარეს ორღობე და აივნიან სახლს მიადგნენ.

„აბა, ბიჭებო! დასცხეთ მაგ გამჩენელ ძაღლსა, მაგასა!..—უყვიროდნენ უკანანი წინებს.

ახალგაზრდათა ჯგუფი გადმოხედავდა მოზღვავებულ ხალხს და გამხეცებული, კეტებით მომარჯვებული, ერთმანეთს წინ უსწრებდნენ.

როცა აივანზე ავიდნენ, შეჩერდნენ, როგორც შეტბორდება ხოლმე გაზაფხულის მდინარე, როცა წინ მოულოდნელად ჩახირული ხე შეხვდება.

აივანზე მისვლა-მოსვლა იწყეს. ხალხი კი ეტანებოდა.

აივანი თანდათან ივსებოდა, უწესრიგოდ ერთმანეთში ირეოდნენ. კარები დაკეტილი დახვდათ. ფანჯრები ჩალურსმული. კარებს აწვებოდნენ და ისევ თავს ანებებდენ.

საჭირო იყო ვინმეს გადამწყვეტი მოქმედება, იმ სიტყვის წარმოთქმა, რომელიც ყველას ენაზე ჰქონდა და ვერავის ეთქვა.

მერე ქვევიდან შემოესმათ: „ჩაამტვრიეთ კარები, დალეწეთ ფანჯრები!“..

ახლა ყველა აფაცურდა, აყაყანდა: „ჩაამტვრიეთ კარები, ჩალეწეთ ფანჯრები!“..

მოღერებული კეტები მწკრივად აიმართა კარებთან და ფანჯრებთან. ერთსა და იმავე დროს დაიწყო კარმა ლაწა-ლუწი და ფანჯრის შუშებმა შხრიალი.

გაისმა ყვირილი, მსხვრევა და ჩხრიალი, ატყდა ხმაური, ქივილი და ხივილი, წყევა და კრულვა, მუქარა და გინება.

ჰაერში აიმართა მოღერებული მუშტები; ისმოდა შეძახილი: „აბა, ბიჭებო! თქვენი გამჩენის ჭირიმე! დაჰკათ, დაჰკათ!.. ეგრე, ეგრე! მაგრად!“..

შეამტვრიეს კარები. შევიდნენ ოთახში, მიიხედ-მოიხედეს, აწვებოდნენ ერთმანეთს, დარბოდნენ ოთახებში.

ვილაცამ მაგიდას კეტი დაარტყა. ახლა კი მიხვდნენ თითქო, რა უნდა ჩაედინათ. ჰხევდნენ წიგნებს, ქაღალდებს; ამტვრევდნენ სკამებს, საწერ მაგიდას, ლამფებს.

ვილაცამ კედლიდან ხელმწიფის სურათი ჩამოიღო, აივანზე გაიტანა, ყირამალა დაიჭირა და ხალხს გადაუგდო. მისცვივდა წინა ჯგუფი. ერთმანეთს სტაცებდნენ, ჰხევდნენ, ჰაერში აფრიალებდნენ...

აქციზის მოხელე უკან კარიდან გაპარულიყო. როდენიმე ყმაწვილი გამოუდგა. ვერა ნახეს და უკან დაბრუნდნენ.

— ჰაი, გაგვექცა ის გამჩენ ძაღლი, ისა!.

ოთახში ალარაფერი დატოვეს. ყველა ფანჯარა მილეწეს, კარები ჩამოიღეს.

ეხლა სახლი გამოიყურებოდა ისე, როგორც მკვდრის ღია თვალები,—გაშტერებული და უცნაური.

— ბიჭებო! აბა, ეხლა ჩვენ კანცელარიას ვესტუმროთ!.. და ახალი აღფრთოვანებით, ახალი გატაცებით, ბრბო დაიძრა კანცელარიისაკენ.

კანცელარიაში ორიოდე ჩაფარი დახვდათ. შეიპყრეს, იარაღი ჩამოართვეს, თვით შეიარაღდნენ, მაგიდები აქაც დაამტვრიეს, ფანჯრები დალეწეს.

კანცელარიის გვერდით სკოლა იყო. ახლა იქითკენ გასწიეს. შეცვივდნენ და შეგირდების მაგიდებს მტვრევა დაუწყეს.

უცბად აივანზე გაისმა მკაცრი ხმა: „ხალხო და ჯამაათნო! მისმინეთ!“ ეს კვლავ ის იყო,—ნიკო გურული! ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა. აივანთან შეჯგუფდნენ. მაგიდების მტვრევა შეაჩერეს. ხმაურობა შეწყვიტეს.

ის იდგა აივნის მოაჯირზე, ერთი მკლავით ბოძზე მოხვეული, მეორე ხელში კი ქუდი ეჭირა მაღლა აშვერილი. გაფართოებული თვალებით, ყელში დაჭიმული ძარღვებით, ფოლადის ხმით ხალხს მოუწოდებდა, რათა ხალხი შეჩერებულიყო.



აფრასიონ მერკვილაძე
1905 წლის რევოლიუციის ორგანიზატორი
დასავლეთ საქართველოში.

იყო უდრეკი, მტკიცე ძალა იმის შემოძახილში. ხალხური ენით მოლაპარაკე, ხალხიდან გამოსული, როგორც ჯადოსანი მოქმედებდა ხალხის ნებისყოფაზე. ინტონაცია ხმის, მიხვრა-მოხვრა. სხარტი ტანი, იერი,—ერთ ჰარმონიულ მთლიან ასახავს ჰქმნიდა მის ლაპარაკის დროს.

მსმენელები მიჯაჭვულნი იყვნენ იმის ხმის ბგერასთან. მისი გატაცება, როგორც ბურბუშელას ცეცხლი. ისე ედებოდა მსმენელთა გულს.

ახლა ის ლაპარაკობდა მომავალ ბრძოლების შესახებ. მიუთითებდა თავად-აზნაურთა მიერ შემდგარ რაზმზე და გლეხებსაც მოუწოდებდა შეედგინათ წითელი რაზმი. „და ეს რაზმი უნდა იყოს უსამართლობის დამთრგუნველი და კეთილის გამომხატველი!“..—დაათავა მან სიტყვა.

—:—

რევოლიუციის გრიგალი დაქროლავდა სოფლად და ერთ კუთხესაც არ სტოვებდა, რომ არ შეხებოდა. თუმცა ქროლვა აღელვებით. ხმაურით, ჟუხილით, სისხლით ხასიათდებოდა, მაგრამ გლეხის ოჯახში მას შეჰქონდა მყუდროება, სასოება და მშვიდობიანობა.

შეწყდა ყოველი შური და მტრობა. ოჯახური და ნათესავებ შორის ატეხილი დავა და ჩხუბი მინელდა. ყოველ გაურკვეველ და სადაო კითხვებს თვით გლეხები არჩევდნენ და სათანადო განაჩენს გამოიტანდნენ.

მოისპო ქურდობა და ავაზაკობა. გავარდნილი ყაჩაღები მოდიოდნენ ხალხის კრებებზე, დანაშაულს აღიარებდნენ და პატიებას ითხოვდნენ. ყველამ იცოდა, რომ ეს იყო გულწრფელი განცხადება ერთობის წინაშე და ძმურად იღებდნენ თავიანთ წრეში და წითელ რაზმში სწერავდნენ.

ბევრი მათგანი თავდადებული გმირები აღმოჩნდნენ შემდეგ ბრძოლებში.

ყველას ღიმი ესახებოდა პირზე და დათრგუნვილი იყო ბოროტება.

პატარები ჰბაძებდენ დიდებს და ისინიც „ერთობას“ თამაშობდენ. გამოდიოდენ პატარები თავიანთ „მიტინგზე“ და ძმობასა და ერთობაზე ლაპარაკობდენ.

თუ სოფელში ერთობის გულისთვის პოლიცია დაიჭერდა ვისმეს,—მაშინ მთელი სოფელი, დიდი და პატარა—მიდიოდა სამაზრო პოლიციაში და ამხანაგების განთავისუფლებას მოითხოვდა. და მაშინ ვინ დაუდგებოდა წინ ერთობის ძალას!..

„ამხანაგო!“—და ისახებოდა ძალა ერთობის, თანასწორობის, გამარჯვების და დღესასწაულის.

„ამხანაგო!“—და გლეხი ჩაიცინებდა ულვაშებში.

„ამხანაგო!“ გაუმარჯოს ერთობას!..

დ. ლიხელი.

## 1 9 0 5

ვმუშაობთ ჩუმად,
ვითვლით ნაგანებს;
დავეძებთ ყველგან
ჩვენს ამხანაგებს.
მედგარ ბრძოლისთვის
ყველა ავძარით.
გაიპრიალებს
ცივი ხანჯალი.
უნდა დაინგრეს
ძველი ტაძარი
ვაშა ჩვენს იმედს,
აღფრთოვანებას;
ცხადს სინამდვილეს,—
არა ზმანებას.
ჩქარა. ჩვენს მიზანს
ან ხელი ვსტაცოთ!
თავისუფლება
მტერს გამოვსტაცოთ.
ყველა მიიძღვნის
სიხარულს ორ წილს.
და გადაუხდით
ზეიმით ქორწილს.
ბატონს ხალხისთვის
რა მოუცია?—
მხოლოდ მაშვრალი
ძირს დაუცია!
თავისუფლება
ყველას გვწყურია!
მედგარ ბრძოლისთვის
გვიხმობს გურია!
გვიბრწყინავს ნაცნობი
სხივის მფრქვეველი;
ჩვენი მიზანი
სიტკბოს მძლეველი!
ძმად გაფიცულებს
შიახმეს მკლავი.
ვინც კი არ დახდოს
ბრძოლაში თავი!
თავისუფლება
ყველას გვწყურია;
მედგარ ბრძოლისთვის
გვიხმობს გურია.
ერთს ჩვენს ახლობელს
შიშით აციებს;
ვეღარ ავრცელებს
პროკლამაციებს.
და ყველამ დავგმეთ,
ავტეხეთ შფოთი;
ის მოღალატედ
გამოდგა ლოთი.
მოვტეხეთ როგორც
ურგები ტოტი.
არც კი ვაღირსეთ
მხდალს ბოიკოტი.
თავისუფლება
ყველას გვწყურია;
მედგარ ბრძოლისთვის
გვიხმობს გურია!
ვმუშაობთ ჩუმად,
ვითვლით ნაგანებს;



კამო ბორკილებში

რაზმებად ვაწყობთ
ჩვენს ამხანაგებს!
ფორე და თომა
მეთაურობენ.
გლეხები აღდგნენ
აღარ ხუმრობენ.
თავისუფლება
ყველას სწყურია,
მედგარ ბრძოლისთვის
გვიხმობს გურია!
ძმებო ხმალს ხელი
და ტყვია თოფში!
დილაზე გავალთ
გადამწყვეტ ომში.
გლეხო, თუ ელი
შენს სახნავ მიწას,
მაშ კეტს დასაქმე
და შვინდის ფიწალს
ხვალ იერიშით
მივდივართ მტერზე.
ავაგებთ მტარვალს
მახვილის წვერზე.
თავისუფლება
ვის არ სწყურია;
ძმებო, გამოდით!
გვიხმობს გურია!*)
1906 წ.
ქიზიყი.

სანდრო შანშიაშვილი.

*) ეს ლექსი დაწერილია 1905 წლის რევოლიუციის შთაბეჭდილებით. ლექსისათვის ავტორი დატუსაღებული იყო და 6 თვე გაატარა მეტეხის ციხეში.



კავკასიის მთავარ მართებელი 1905 წ.
ვორონცოვ დაშკოვი

# ციხიდან გაქცევა

— დაამარცხეს ცხრაას ხუთი წლის რევოლიუცია! მოჰკლ...! ...ღფრთოვანება, გატაცება!..

სატუსაღოს მოწყენილი დღეები მიცოცავდენ, როგორც მიცვალებულის გასვენება სასაფლაოზე. არ იყო იმედი მალე თავისუფლების ხილვისა.

მრავალ გზით იღებოდ. სატუსაღოს კარი და ივსებოდა ციხის კედლები ახალ მოსულ ამხანაგებით. კიდევ იღებოდა კარი და ცივ ციმბირში იგზავნებოდნენ რევოლიუციონერთა ჯგუფები.

გადასახლებულნი უფრო მხიარულათ გრძნობდნენ თავს და ციხეში მყოფთ იმედს ულევიძებდნენ.

გესმის! მოვალ თუ არა დანიშნულ ალაგას, არ დავაყოვნებ, გამოვიპარები, ჩამოვალ ისევ აქ და ხვრელს გავაკეთებ, გაგანთავისუფლებთ!

— აბა შენ იცი! არ დაივიწყო! ბევრი გვპირდება, მაგრამ მერე ივიწყებენ!

— უკვე მაქვს გეგმა შედგენილი! ხომ გიმთხარით კიდეც: იმ სახლს ვიქირავებთ, იქიდან კი პირველ საკრეტში თავს ამოვყობთ!

— აბა! ნახვამდის! ნახვამდის!..

მიდიოდა დღეები თვეები და სრულდებოდა წლები!

„ჩვენ უკვე ვიქირავეთ ციხის პირდაპირ სახლი. იქ დასახლდება ორი ამხანაგი, როგორც ცოლ-ქმარი. ჩულქების საქსოვ სახელოსნოს გახსნიან. ამისთვის კიდეც ვიშოვეთ ერთი ძველი საქსოვი მანქანა. ქუჩის ოთახს სარდაფი აქვს. აქედან დავიწყებთ ხვრელს და მიწასაც სარდაფში დავყრით. როცა ეზოში გადმოფენილ თეთრ ჩულქებს შეამჩნევთ—ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობა სწარმოებს. სარდაფიდან ქუჩის ქვეშ გავალთ. მერე ციხის გალავნის ქვეშ გავივლით და ციხის კედელს, რომ მივადგებით, იქვე პირველ სეკრეტში ამოვიყვანთ ხვრელს. სამის გარდა ციხეში არავის ეცოდინება ეს ამბავი. მხოლოდ იმ დღეს, როცა ხვრელი დამთავრდება, შეატყობინებთ დანარჩენებს. ციხის ორგანიზაციის მოწყობა თქვენ იცით! ფანჯრებიდან სახლისკენ ცქერას ნუ დაიწყებთ! იყავით ფრთხილად! გაკოცებთ! მალე გნახავთ!—იწერებოდნენ გარედან ამხანაგები.

კვლავ გძელდებოდნენ დღეები. მოგვდიოდა ცნობა, რომ ხვრელის ხუთიოდე საჟენი გათხრილია, რომ მუშაობა თანდათან ძნელდებოდა, რომ სუნთქვა აღარ შეიძლება; კართოფილის სანთლები უჰაეროთ ჰქრება. ამისათვის მჭედლის საბერველია შეძენილი, მას გძელი რეზინის ლულა აქვს მიბმული და ამნაირად გზავნიან სასუნთქე ჰაერს ხვრელში მუშაობის დროს.

ყუთით გამოაქვთ მიწა მას ორივე მხარეს თოკი აქვს მიბმული. როცა ყუთი მიწით გაივსება, სარდაფიდან გამოსწევენ თოკს, დაცლიან ყუთს და შემდეგ მეორე თოკით ცარიელ ყუთს წააჩოჩიალებენ ხვრელში. ყუთს ძირზე ტომარა აქვს მიკერებული, რომ ხმაურობა არ იწყოს...

შევიკრიბებოდით სეკრეტში ამხანაგები და ვმსჯელობდით ხვრელის და ჩვენი გასვლის შესახებ. ზოგი დარწმუნებული იყო. რომ საქმე კარგათ ჩაივლიდა, ზოგი იჭვიანობდა.

„ვაი თუ გასვლის დროს თავს წამოგვადგნენ და შიგ ჩაგვკლეს, როგორც ძაღლი! მაშინ საფლავის გათხრაც არ დასჭირდებათ! ამხანაგების ხელით გაჭრილ მიწას სამარედ გაგვიხდიან!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა



1905 წლის რევოლიუციის ჯალათი ალიხანოვი.

ხვრელის გაჭრა გრძელდებოდა და უახლოვდებოდა ციხის კედელს. საღამო ჟამს, როცა წიწილებივით დაგვთვლიდნენ, ფანჯრის რკინებს სიმაგრეს გაუსინჯავდნენ და კლიტეს დაადებდნენ,—დაბალი ხმით ერთმანეთს ვეფიცებოდით, რომ თავისუფალ სივრცეში ერთად ვიმუშავებდით, ვაცნობებდით მომავალზე, ამხანაგურ ცხოვრებაზე და ერთად ყოფნაზე.

თხუნელასავით მიწაში ჩამძვრალ ამხანაგების მუშაობას, გონების თვალით წარმოვიდგენდით. მათ გამურულ, გაფითრებულ სახეს ვჭვრეტდით, მიწის ხრიალს და ყუთის ხრაგუნს ვისმენდით და ამ წმინდა საქმეს, როგორც მორწმუნე სამლოცველოს მოკლებული,—სასოებით შევყურებდით... იქით იყო მიმართული გულის ყური და გონების თვალი!..

ერთ საღამოს, იმ ადგილს, სადაც ხვრელი იჭრებოდა, გავარდა თოფი, გავარდა მეორე, მას მოჰყვა სტვენა, ყვირილი, სირბილი და კიდევ სროლა კანტი-კუნტი.

გაფითრებულნი, გონება დაბნეულნი, აცახცახებულნი, გაფართოებული თვალებით,—ერთმანეთს ვეკითხებოდით იმას, რაც ყოველ ჩვენთაგანს გონებაში ჰქონდა გამოუთქმელი.

სუნთქვა შეგვეკრა, ყელს ბურთი მოაწვა და ენა სასას მიეკრა. ერთხანად ვისხედით გაქვავებულივით.

როცა სროლა შეწყდა, დაჭიმული ძარღვი ერთ ადგილს გაიხსნა.

— დავიღუპეთ!

— დაიღუპნენ ისინი!

— ისინი!

დუმილი. უმწეო მდგომარეობა. კედლები და რკინის ფანჯარა.

— მოიცა, იქნებ სხვა რამ გამოირკვეს?!

— სტვენა სად იყო საჭირო? ან სირბილი?

— იქნებ სულ სხვა რამ მოხდა!.. კვლავ ვიგრძენით გულის ფეთქა, პირში ნერწყვი...

სად, რაღას გავიგებდით ნამდვილ ამბავს!

ღამე კი გძელია, დაუსრულებელი..,

— მოიცა, კარიდორში ფედორი დადის! გესმის გასაღების ჩხარუნი? ის უნდა იყვეს! გაიგებდა ამბავს! ვკითხოთ!

კარებში გამოჭრილ პატარა ჩარკინულ ფანჯარაში, გამოჩნდება ფედორის ჭროღა თვალები ხშირი წარბებით.

მეორე დღეს დილით, ეზოში თეთრი ჩულქები კვლავ თოკებზე ჩამოეკიდნენ.

ახლოვდებოდა ხვრელის დამთავრება. იმ დღეს ციხის კედელს უნდა ამოჰყოლოდნენ. ფხვიერ მიწის ხრიალი გარკვევით ისმოდა. კედელთან დარაჯი დაიარებოდა. სეკრეტში მყოფ ამხანაგებმა სიმღერა იწყეს, ყვირილი და ხმაურობა ასტეხეს, რომ დარაჯის ყურადღება დაბნეულიყო. ხმაურობას აჰყვნენ სხვა კამერებიც. ახალმა გასართობმა გაიტაცა ტუსაღები, იმივე დროს საქმეს ხელი შეუწყო. ხვრელი მიადგა სეკრეტის იატაკს.

უკვე გარკვევით ისმოდა ტახტის ქვეშ ხრაგუნი, ასფალტის იატაკს გაჰქონდა კრაწუნი.

უცბად შეწყდა ხმაურობა და იატაკის ქვეშიდან მოისმა, როგორც ჰამლეტის მამის აჩრდილის ხმა: „ყოჩაღად იყავით“! ხვრელი დამთავრდა! ხვალ დაიწყებთ გამოსვლას! ხვალამდის... ხვალამდი“ს...

ღამე უძინარი, მოუსვენარი, ნერვიული... და ფიქრები, ფიქრები...

მეორე დღეს დილით ეზოში წითელი ჩულქები თოკზე ჩამოეკიდნენ, როგორც ნიშანი საქმის დამთავრებისა.

იმ დღეს ციხემ ჩვენს თვალში სხვა ელფერი მიიღო. დავიარებოდით, როგორც აჩრდილნი, ერთმანეთს შევღიმოდით, კუთხეში ამხანაგებს საქმის ვითარებას ვაცნობებდით. გასვლის რიგს ვანაწილებდით. დამხმარე ამხანაგებთან გეგმას ვაწყობდით.

ოროლი უნდა მივსულიყავით იმ სეკრეტთან, სადაც ხვრელი იყო გამოყვანილი. ცხვირსახოცით ნიშანს იძლეოდა დერეფნის პირად მდგარი ამხანაგი. გასვლა იწყებოდა „პროგულკის“ დროს, როცა ზევითა სართულიდან ეზოში ჩადიოდნენ ამხანაგებ.

ქვედა დერეფნის მორიგი ზედამხედველი ციხის „დუქანში“ უნდა დაეპატიჟნა ერთ დამხმარე ამხანაგს და ლიმონადით, ლომით და მოხარშული ქათმით გამასპინძლებოდა, რათა სავსებით კარი ღიათ გაეშვა.

„სასეირნოთ“! დაიძახა ზედამხედველმა. გამალებით აძგერდა გული...

— მოდი აქ! შემოდი! მიწვევს თავისთან ამხანაგი.

— რა გინდა?

დალიე აი, ეს კონიაკი! გაგამაგრებს!..

როგორც შემოსილი ღვდელი ბარძიმით ხელში მორწმუნეთა საზიარებლად, ისე უსხამდა ამხანაგებს კონიაკს ფეხებში ბორკილ გაყრილი.

— ბორკილებს რას უშვრები?

— თან წავიღებ!

— როგორ?

დაჭედილი არ არის „ვინტები“ აქვს გაკეთებული.

— მაშ, როცა გახვალ ოთახში, იქ გაიხსნი?

— მერე ხელსახოცში გავახვევ და თან წავიღებ!..

— აბა, ჩავიდეთ ახლა ეზოში! რიგი არ არიო! ნიშანს ადევნეთ ყველამ თვალი!...

ეზოში ჩვეულებრივი სიარულია და ახტურმის თამაში, თვალს ვადევნებ ნიშანს, აგერ მიდის პირველი წყვილი. შეუხვია, დერეფანში მიიმალა. ახლა ჩემი რიგია. ვუცდი ნიშანს. აი, თეთრი ცხვირსახოცი ცხვირთან. მივდივარ ისე, როგორც მიდიან მთვარეულები.

ნახევრად ბნელ დერეფანს გავიველი და სეკრეტში შევდივარ. ორი გაფითრებული სახე ამხანაგებისა (ესენი ბოლომდის რჩებიან სეკრეტში) თვალში მეცემა. დაბალი ხმით ვეკითხები:—„ისინი გავიდნენ?—„წავიდნენ! ნუღარ აყოვნებ! შეძვერი ტახტ ქვეშ“!..

ვძვრები. როგორც მოხდილი ჭურის თავი, ისე მეცემა თვალში ხვრელის პირი. პირში ჩაცობილია პალტო, როგორც გამძვრალი გველის პერანგი. შევკრთები. ვიბნევი. მერე ინსტიქტიურად პალტოს მოვწევ, ამოვაძრობ და კუთხეში ვისვრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეშვები ხვრელში. მუხლის ჩოქით და იდაყვებით მივყვები მას, როგორც შეკვეთილი მორწმუნე წმინდა ხატს და სანთლები კი, ამხანაგების მიერ საგანგებოდ კუთხეებში მიყუდებული სტეარინის სანთლები,—კიაფობენ ისე, როგორც ლიტანიის დროს ანთებული კელაპტრები.

უკვე ვგრძნობ, რომ ქუჩის ქვეშ ვიმყოფები, ციხის კედლებს გაცილებული. პატარა აღმართს, ფიცრით დაგებულს ვუდგები და ოთახში ვყოფ თავს.

ვამჩნევ ჩემს წინ გამოსულ ამხანაგებს. ბორკილებს იხსნიან. ფანჯრიდან ციხის კედლებს გავცქერი და ერთი წამით თავში სურათი გაირბენს, ციხეში მოსიარულე ამხანაგებისა და ახტურმის მოთამაშეებისა. მრისხანედ გამოიყურებიან ციხის კედლები. ვხედავ იმ ფანჯარას, საიდანაც ამ სახლს და ეზოში გამოფენილ ჩულქებს ვუმზერდი.

ოთახში ყველა ვფაცურობთ, გიჟისავით ერთმანეთს შევცქერით, ვჩქარობთ.

მაგიდაზე ტანისამოსის საწმენდ ჩოთქს ვამჩნევ, ხელში ვიღებ და გასვრილ შარვალს ვიწმენდ, მაგრამ ვატყობ, რომ ჩოთქს იმ ადგილს ვერ ვუსვამ სადაც საჭიროა. ისევ მაგიდაზე ვაგდებ.

ვხედავ ამხანაგს ფურცელი უჭირავს და დასცქერის, მერე მე მაჩრის ხელში: „წაიკითხე, ვერ გავარჩიე, რა სწერია!“ ვართმევ ფურცელს და ვამჩნევ ასოები, რომ ხტიან ზევით და ქვევით.

„ჰო, შენ და პალიკო მარცხნივ უნდა წახვიდეთ, მე და ლეო მარჯვნივ. იქ დაგხვდება ეტლები. ასე სწერია ფურცლებზე.—ვეუბნევი ამხანაგს. „აბა, გასწით! ჯერ თქვენ გადით! მერე, ჩვენ!..

ქუჩაზე, რომ გავდივარ, მაკვირვებს სივრცე და სინათლე. ციხის კედლებმა დამავიწყეს, რომ გარედ ფართო სივრცე და მზეა!..

აჩქარებული ნაბიჯით მივდივართ. გაუხვევთ ქუჩას და თვალებს მოსწყდება ციხის კედლები.

აგერ ამხანაგი ეტლის მომლოდინე. ვსხდებით ეტლში და მივდივართ ახმაურებული ქუჩებით.

ეტლი მიჰქრის გაძალებით. ქუჩის პირად მიმავალ ციხის ზედამხედველს ვამჩნევთ. შეკრთება გული, სახეს გვერდზე მივაბრუნებთ და ვსცდებით მის მხედველობას.

გავივლით ქუჩებს თითქმის ქალაქის ნაპირად გავალთ.

— აი, თბილისიდან ჩამოსული დელეგატები! ეუბნევა ამხანაგი მასპინძელს და იმავე ეტლით უკან ბრუნდება.

— აჰ? შენა?.. შესძახებს სკოლის ნაამხანაგარი მასპინძელი.

ბიჭოს? კარგია, რომ შენთან მოვხვდი!

— დახე, როგორ მომატყუეს იმ საძაგლებმა? კონფერენციაზე ჩამოსული ორი დელეგატი უნდა დაებინავო ორიოდე ღამით, მითხრეს. შენ კი საიდან მოდიხარ?..

იმ ღამეს ვერაფერი გავიგეთ დარჩენილ ამხანაგების გამოსვლის შესახებ. მე კი მასთან დავრჩი. მეორე ამხანაგი კი მეზობელთან გაგზავნა.

მთელი ღამე ლოგინში ვბორგავდი. ძილის ლული არ ეკარებოდა თვალებს. ფანჯარაში მკრთალ მთვარის სინათლეზე მოსჩანდნენ ნაძვის წვერები და წყნარად ირხეოდენ, როგორც ჯეჯილის თავები.

მრავალ გზას ეკითხებოდა ერთი ნაწილი გონებისა მეორეს: შემდეგ რა მოხდა? მშვიდობით გამოვიდნენ ამხანაგები? თუ მალე გაიგეს? იქნებ ვინმე ხვრელში მისამარეს? იქნებ ზოგი დაჭრილი, ზოგი ნაცემ-ნაძეგვი ამხანაგები კარცერში ჰყრიან, გაბოროტებულნი?

დილას გამოირკვა: ხვრელში გასულან, არა მარტო ის ამხანაგები, რომელთაც იცოდნენ ამის შესახებ, არამედ გაცილებით მეტი. სულ ოცდათხუთმეტი კაცი. ხვრელი მხოლოდ მაშინ აღმოუჩენიათ, როცა გასულან ტუსაღის ტანისამოსით კატორღა გადაწყვეტილი ტუსაღები. ქუჩაზე გამოსულნი, ისინი სალდათებს შეუმჩნევიათ და ყვირილი დაუწყიათ, გამოჰკიდებიან და დაუჭერიათ.



1905 წ. რევოლიუციის ჯალათი გრიაზნოვი

როცა ციხეში მოუყვანიათ, მყისვე ჩაუკეტიათ კამერები, გაუჩხრეკიათ და ხვრელიც აღმოუჩენიათ.

სასტიკი ზომები მაშინვე მიუღიათ. სამიოდე გამოქცეული იმ ღამესვე დაუჭერიათ. ქალაქისათვის ალყა შემოურტყამთ.

„ახლაც მთელ ქალაქს ალყა აქვს შემორტყმული. ქალაქს გარედ არავის უშვებენ. სადგურზე ყველას სჩხრიკავენ. მთელი ქალაქი ამის შესახებ მსჯელობს და ლაპარაკობს. ყაზახები გაფანტული არიან ქალაქის ნაპირად და გაქცეულებს ეძებენ. ამბობენ ვიღაც დაუჭერიათ ბუჩქებშიო. განკარგულებაა ახლო-მახლო სოფლებში უცნობი პირი არ გაატარონ. მთელი ქალაქის გაჩხრეკას აპირებენ, იციან, რომ ბევრი იმალება სახლებში“. ამთავრებს გაფითრებული მასპინძელი.

აქედან იწყება სიმძიმე თავის გადარჩენისა.

ჩემს მასპინძელს ვატყობ, რომ ჩემი დატოვება სახლში ძალიან უმძიმს. სასამართლოში მსახურებს, ახალგაზრდაა და ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ჰყავს ერთი წლის ჯვარდაწერილი. ოჯახს ეწყობა და, რომ მის სახლში გაქცეული ნახონ, ხომ დაიღუპება?

არც მე მინდა მისი ცუდი. მაშ, როგორ მოვიქცეთ?

ის მთელი დღე ქალაქში დადის. ვგრძნობ, რომ ცდილობს მონახოს ვინმე, ვინც დათანხმდება ჩემს წაყვანას.

მისი მეუღლე გეგმას აწყობს: ერთ ოთახს ანთავისუფლებს, შიგ მხოლოდ ერთ ტახტს ლოგინით და მაგიდით სტოვებს. მე ამ ოთახში ვცხოვრებ, როგორც მდგმური და მათ არ იციან, თუ მე ციხიდან ვარ გამოქცეული. და უხარია, რომ ასეთი გეგმა გადაარჩენს მათ, თუ სახლს გაჩხრეკენ.

საღამოს მასპინძელს მოჰყავს ერთი მოხელე (ალბად მისი ხელქვეითი) და მეუბნევა:

— ამაღამ ამასთან წახვალ! ამის ბინა უფრო მოხერხებულია და შენც იქ გირჩევნია! რა ვქნა! ჩემი ბინა ისეთ ალაგას არის, რომ...

რასაკვირველია, რასაკვირველია! ვეუბნევი.

მეც მიხარია, რომ მასპინძელი და მისი ლამაზი მეუღლე ხიფათს თავიდან იშორებენ.



მთავარმართებლის თანაშ. გენ. მალამა

დაღამდა კარგად. მე და ახალი მასპინძელი გზას გავუდექით. ვიწრო ქუჩებით და ბილიკებით ქალაქის მეორე მხარეს გავედით.

შევედით ეზოში. ერთ სართულიან სახლს გვერდით აუარეთ და სახლის უკან მოვექეცით.

— ბოდიშს ვიხდი, ამაღამ აქ დაწვებით, ამ ბეღელში სახლში ვერ შეგიყვანთ, ჩემი უფროსი ძმა არ დამთანხმდება. თუ ჩხრეკა იქნება და გიპოვიან, ეტყვით, რომ თქვენ თვით შეხვედით ბეღელში ჩვენ დაუკითხავად. ხვალ კი ჩემი ძმა სამსახურში წავა და სახლში გაგიყვანთ!..

გადავძვერი ბეღელში. პატარა კარი მოიხურა. სიბნელეში ნელის ნაბიჯით და აშვერილი ხელით ბინას ვათვალიერებ. ორი ნაბიჯი სიგანე და ხუთი ნაბიჯი სიგრძე ყუთის მსგავსი. ერთ მხარეს დაბალი ფიცრულია, კუთხეში კარტოფილი ჰყრია. ვჯდები იატაკზე. სიწყნარეა გარშემო. პაპიროსის მოწევა მინდა, მაგრამ ვერ მოვწევ, რადგან ბეღლის ჭუჭრუტანებიდან სინათლე გავა. ძილიც არ მეკარგება.

შუაღამეს გადასცდა და აცივდა. მაკანკალებს სიცივისაგან. ვერ დავდივარ, რომ გავთბე. მეშინია, რომ კარტოფილს არ წავაწყდე და ხრაგუნი არ დაიწყოს. ვდგევარ ერთ ადგილს და მკლავებით ვარჯიშობას ვიწყებ, რომ გავხურდე. მერე ისევ ვჯდები. შორიდან საათის ზარის რეკა ისმის. სამი საათია. მინდა დრო მალე გავიდეს, მაგრამ, სანამ ოთხს დარეკს, მთელი საუკუნე გადის.

მტრედის ფრად რომ გათენდა, ბეღლის კარი გაიღო და შიგ გადმოეკიდა მოხუცი ქალის თავი. გამოშვერილ ორ ხელში რაღაც ეჭირა და ბუტბუტებდა: რა ვქნა, შვილო, სტუმრის პატივისცემა ეგრე არ ვიცი, მაგრამ რა ვქნა! ეს ჩურჩხელა და ყურძენი ცოტას მოგამაგრებს, მალე ჩემი უფროსი შვილი სამსახურში წავა და სახლში მაშინ გაგიყვანთ!..

მოიხურა ისევ კარი და წავიდა.

ჩურჩხელას და ყურძენს მადიანად შევექეცი. მერე პაპიროზიც მოვწიე და თითქო გავთბი კიდეც.

ცხრა საათი იქნებოდა. ახალგაზრდა მასპინძელმა სახლში შემიყვანა. ჩაი დამალევინა.

ახლა თქვენ დაწექით და მე ამხანაგებს მოვნახავ! იმათ იციან, რომ თქვენ ჩემთან ხართ! ბევრი ყავთ მოსავლელი და ბინებს ვერ შოულობენ!

ორი ღამის უძინარს ბანგ დალეულივით დამეძინა.

როცა გამომეღვიძა, ერთი ამხანაგთაგანი თავს მედგა.

— ბიჭოს! შენ ძალიან ძილი გცოდნია?

— ორი ღამე არ მძინებია, განა გასაკვირია? შენ ეს მითხარი, სხვები სად არიან, როგორ არიან!..

ხვრელის გაჭრა და თქვენი გამოყვანა არ გაგვჭირვებია ისე, როგორც შენახვა და აქედან გასტუმრება! თურმე უძნელესი წინ ყოფილა! ჩვენ კი გვეგონა ხვრელიდან გამოხვიდოდით თუ არა, ყველაფერი გათავდებოდა! აი, ეს კოსტიუმი ჩაიცვი და ეს მასწავლებლის ქუდი დაიხურე! ყოჩაღათ იყავი! მალე გაგისტუმრებთ! ახლა პასპორტებს ვამზადებთ! საღამოზე შეიძლება სხვაგან გადაგიყვანოთ! ვეცდებით! ახლა მეჩქარება, სხვებიც უნდა ვინახულო! ნახვამდის!..

საღამოს ღვდლის ოჯახში მიმიყვანეს. რომ მივედი მაშინვე შევნიშნე, რომ ღვდელს ძალიან უმძიმდა ჩემი მიღება. იმ ღამეს მასთან გავათიე, სხვა გზა არ იყო! (რად დათანხმდა, როცა უთხრეს?) ხოლო მეორე დღეს ანაფორა ამოკარწახებული დადიოდა ქალაქში, რომ ვინმე მოეძებნა და აკი მოიყვანა კიდეც, დიაკვანი!

და ჩემს თანადასწრებით გაიმართა მღვდელსა და დიაკვნის შორის ვაჭრობა. ღვდელი უმტკიცებდა, რომ მისი ბინა ისეთ უბანშია, სადაც უპირველესად მივლენ გასაჩხრეკად. დიაკვანის ბინა კი უფრო მოხერხებულია, ამიტომ იმან უნდა წამიყვანოს თავისთან. დიაკვანი ცდილობდა წინააღმდეგი დაემტკიცებინა, მაგრამ უფროსის დაჟინებით მტკიცებას, ხელქვეითი ვერ უძლებდა და ძლეულიც შეიქმნა.

ოთხი დღე და ღამე დამშვიდებით ვცხოვრობდი დიაკვნის საქათმესავით მოკრუნჩხულ ოთახში, ქალაქის პირად, გორაკის ფერდობზე და გადავცქეროდი ქუჩებს.

დიაკვანს პირდაპირი კავშირი ჰქონდა ამხანაგებთან. ყოველ დღე ინახულებდა მათ. თანდათან იგზავნებოდენ ამხანაგები.

დამშვიდებით დაძინებულს, ერთ ადრიან დილას დიაკვანი მაღვიძებს. შევხედე მის სახეს გაფითრებულს. ვეკითხები:

— რაშია საქმე?

— ადექი, ადექი! გარს ალყა გვარტყია და სახლების ჩხრეკაა!

ხმა არ ამომიღია. ავდექი. ჩავიცვი.

— აგერ, ქვემოდ. ორი ტყუფად დადიან. ჩხრეკა ღამის თორმეტ საათზე დაუწყიათ და ახლაც გრძელდება. ჩვენ ალყაში ვართ მოყოლილი, მაგრამ შენ ნუ გახვალ გარედ. მე სახლის თავზე ავალ. იქიდან ვათვალიერებ. როცა აქეთ წამოვლენ, სამჯერ დავარტყამ ჭერს და მაშინ გადი გარედ. მასწავლებლის ქუდი გეხურება, ხალხში გაერევი, იქნებ ვერ გიცნონ!..

დიაკვანი გადის. ფანჯარაში ვიცქირები. ქუჩებზე ვხედავ ალყაში მომწყვდეულ ხალხს.

ვამჩნევ ქვემოდან წეროებსავით გამწკრივებული ხიშტები მოიმართებიან. ვფიქრობ: ესენი არ გაჩხრეკენ ხალხს, ხოლო გვერდით გაივლიან. ფანჯარაში შემოიხედავენ. შემამჩნევენ. წამიყვანებენ გამოსარკვევად. ამიტომ ოთახში ვიმალები. ტახტ ქვეშ ვძვრები. გული სცემს, როგორც ურო. გადის დრო. ვხედავ ოთახში შემოდის ჩექმები. ვიცანი, დიაკვნის ჩექმები. თავი გამოვყავი და შევხედე მის ფერმკრთალ სახეს. ტახტიდან გამოვდივარ.

— დაიჭირეს ერთი ამხანაგი!—მეუბნება.

— როგორ?

— სახლიდან გასულა. ბუჩქებში მიმალულა. ძაღლს დაუწყია ყეფა. მისულან ალყაში მდგარი ყაზახები და შეუპყრიათ!

— ჩვენ რა ვქნათ?

— ჩვენ ისევ ისე განვაგრძოთ! მე ისევ ჭერში ავალ!..

ნელა გადის დრო. შუა დღე ახლოვდება.

მესმის საყვირი: ალყის მოხსნის ნიშნი. ქორისგან დაფრთხალ ქათმებივით გარბიან ხიშტიანები შესაგროვებელ ალაგს.

დიაკვანი მორბის. მეხვევა. მკოცნის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავრჩით, გადავრჩით! იცი!.. სავსებით მოუახლოვდნენ ჩვენ სახლს! გამოიხედეს აქეთ და ის იყო უნდა დამეკრა ნიშანი და ამ დროს გაბრუნდნენ, რაღაც ჩაილაპარაკეს და წავიდნენ. შეგროვების ნიშანიც ჩხრეკის დამთავრებას ნიშნავს... ახლა ხომ სავსებით უზრუნველყოფილი ვართ! წავალ, ამხანაგებს შევატყობინებ!

საღამოს დიაკვანი მიყვებოდა ქალაქის და ამხანაგების ამბავს. უცბად შემოგვესმა ჩემი სახელის ძახილი. დიაკვანმა კარი გააღო. კარბში თავი შემოჰყო ამხანაგმა.

— აბა, ჩქარა, დაიხურე ქუდი და წამოდი!

— რათა, რაშია საქმე? ვეკითხები.

— საქმე რაშიაც არი, მერე გეტყვი! ნულარ აყონებ, გამოდი!

დიაკვანს ვერც კი გამოვემშვიდობე. საჩქაროდ გავყევი ამხანაგს.

— შენ არ გაგიგია, რომ ჩვენი დამხმარე ერთი „ჩინოვნიკი" გაპროვოკატორდა? მას ჩვენ დიდის ნდობით ვეპყრობოდით და კარგა ხანია კიდეც გვეხმარებოდა. ორი დღის წინად, რომ სადგურზე სამი ამხანაგი დაიჭირეს, მისი ბრალია! ის აცილებდა მათ! ექვი მივიტანეთ, გამოვცადეთ კიდეც! განგებ უთხარით, რომ ამა და ამ ბინეზე, ესა და ეს ამხანაგი იმყოფება, საჭიროა მისი იქიდან გადაყვანა და სწორედ იმ ღამეს, დასახელებული ბინა გაჩხრიკეს! წუხანდელი ამ უბნის ჩხრეკაც მისი ბრალია! მან იცოდა, რომ ამ უბანში იყავით!.. ხოლო არ იცოდა რომელ სახლებში. მდიდრის სახლები გაჩხრიკეს და შენი დიაკვნის მიკრუნჩხული საქათმე მიატოვეს! შენი ასეთი გადარჩენა პროვოკატორმა გაიგო და აი, ამ საღამოს თვალს ვადევნებთ. შევნიშნე ბოქაული, ციხის ზედამხედველი და ორი „გოროდოვოი" აქეთ მოდიოდნენ. გამოვიქეცი შენსკენ. ეხლა ისინი უკვე დიაკვნის სახლს სჩხრეკავენ ალბად. ასეა საქმე!..

— სად მივდივართ ახლა?

— ტყეში! იქ არის პოლიკოც! იმას წუხელისვე გავაგებინე ჩხრეკის ამბავი. მაშინვე ჩოხა-ახალუხი ჩაეცვა და ერთ ნაცნობს წაეყვანა უცნობის ქორწილში. მთელი ღამე ქეიფში გაეტარებინა. ჩოხოსნებში პირველი მომღერალი ის აღმოჩნდა თურმე და ცეკვაშიაც არავის ჩამოუვარდა.

გავცილდით ქუჩებს. ქალაქს მოვშორდით. საურმე გზას ავცდით და ბილიკი გზით ტყეში შევუხვიეთ. დაუსტვინა ამხანაგმა. მოგვესმა სტვენით პასუხი, გამხმარი ფოთლების შრიალი.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ერთმანეთი არ გვენახა. შეხვედრა ისე გაგვიხარდა, თითქმის ათეული წლები გასულიყვეს მას შემდეგ. ვიცინოდით, ვიღიმოდით. ერთმანეთს თავგადასავალს ვუამბობდით. ისე ახლო ვგრძნობდით, როგორც ღვიძლი ძმები.

ნაბდებში გავეხვიეთ. პაპიროზი გავაბოლეთ. ხის ტოტებში მოციმციმე ვერცხლის წერტილებით სავსე ცის გუმბათს გავხედეთ. გული აჩქრიალდა, როგორც ჭინჭველა ჯარის შემდეგ შიშან წილწეულ ა... ...ზიანისა.

ბუნებასთან დიდი ხნის დაშორებული. ტყის მყუდროებაში. ლაღად გაშლილმა ტუჩებმა და ფოთლების ჩურჩულმა,—ამიტაცა!.. და შეერთდა ცა დედა მიწასთან, ტოტები სამყაროსთან და კუნთებმა იწყეს სიმღერა: „დიდება ცხოვრებას! დიდება სიცოცხლეს! დიდება!!!... ტყეში დავრჩით ორი კვირა. დღისით ამხანაგი მოგვიტანდა საჭმელს, გაზეთებს. პაპიროზებს და ამბებს.

ამინდი კარგი დაგვირჩა. ტოტებისგან საწოლი საწოლი გავაკეთეთ. რბილათ დავწექით.

დღისით წაბლს ვკრეფთით. შეშა ბლომათ გვქონდა. ნაკვერჩხლებში ბუძგიან წაბლს ვწვამდით. წყაროს ჩხრიალს ყურს უგდებდით, ჩიტების ჭიკჭიკს ვისმენდით. ჯოხებს ვთვლიდით და გულს ვიყოლებდით.

— პროვოკატორი მოჰკლეს გუშინ! გვეუბნება მოსული ამხანაგი.

— როგორ! როგორ!

— გათავხედდა. მიხვდა, რომ ეჭვის თვალით ვექცეოდით და ჩვენ დაგვიწყო დევნა. მარტო აღარ გადიოდა, მუ-



მთავარმართებლის თანაშემწე კრიმ—გირეი

დამ ჩაფრები თან ახდა. გავიგეთ, რომ ამ საქმისათვის მას დაპირებიან ბოქაულის ალაგს. გადაწყდა „მოშორება". თავს ილო ახალგაზრდა ტერორისტმა. დუქნის წინ შუადღისას მიისწრო და ორჯელ დაახალა რევოლვერი. დაჭრილი შევარდა დუქანში და გამწარებით დაუწყო ფანჯრებს მტვრევა, მოვიდა მაზრის უფროსი და ეტლით წაიყვანა, მაგრამ გზაში დალია სული.

— საიქიოს მაზრის უფროსობას მიიღებს! ეს უფრო სწრაფი კარიერა იქნება!

— ბორკილ გაყრილ სამი ამხანაგის ცოდო ზიდოს იმან, ბოქაულობას, რომ ანაცვალა სინიდისი! ხვრელის გაჭრისას არ გვქონია ამდენი სიძნელე. თუმცა, ერთხელ კი... ხვრელში ვმუშაობდით. ზარის რეკვა შემოგვესმა. (ზარი გვქონდა ოთახიდან სარდაფში გაყვანილი) შევაჩერეთ მუშაობა. გავარჩიეთ სახლის პატრონის ხმა. ზევით მყოფ ამხანაგს ელაპარაკებოდა. დაჟინებით მოითხოვდა სარდაფში ჩასასვლელ კარის გასაღებს. რაშია საქმე? იქნებ გაიგო რამე? მაშ, მოდი ჩამოვათრიოთ ხვრელში და ვამუშაოთ, სანამ არ გათავდება. გავიფიქრეთ ჩვენ. ავიდა ერთი ამხანაგი, სუფთა ტანისამოსი ჩაიცვა. ოთახში შეიწვია. იმან წერილი ამოიღო და გადასცა ამხანაგს: „შენთვის, რომ კეთილი მინდა, ამიტომ გწერ ამ წერილს. შენს სახლში „პოდკოპი" მზადდება ციხეზე. უშველე სახლს და შენს თავს, თორემ დაიღუპები!!!... ეწერა წერილში.

დავიღუპე, დავიღუპე! ღმერთო, რათა ვარ ცოცხალი!... წუწუნებდა სახლის პატრონი. აღარ დაგვრჩენოდა რა, რომელიმე გავლენიან და პატივცემულ პირთან უნდა წაგვეყვანა. რომ დაგვეჩუმებინა. მოვიყვანეთ ზდანევიჩთან. ვუთხარით რაშიც იყო საქმე. მასში გაიღვიძა ძველმა რევოლიუციონერმა. „რა ღირს შენი სახლი". შეეკითხა სახლის პატრონს.. „სამი ათასი!" მიიღე ეს თამასუქი ჩემგან და თუ სახლი დაგეღუპება, გამაგებინე!!! დასწერა თამასუქი და გადასცა"...

ნაკვერჩხლებზე დაყრილ ბუძგიან წაბლს ტკაცატკუცი გაჰქონდა. თეთრი კვამლი ზანტათ ზევით მიდიოდა და ხის ტოტებში ლეჩაქსავით ეფინებოდა.

— ხვალამდის, ამხანაგებო! მალე პასპორტებს მოგიტანთ! გამცილებელსაც მოვძებნი და ფეხით წახვალთ, შორეულ სადგურამდის, იქიდან კი მატარებლით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა



1905 წელი. დრაგუნების შეტევა.

დუნა. ქალაქის ახმაურებული ქუჩები მოგვაწყურა, ამხანაგების შეხვედრა მოგვანატრა, მშობლების და ნათესავების ნახვა მოგვანდომა. აცივდა კიდეც!

ორი დღის შემდეგ მოგვიტანეს პასპორტები. გამცილებელიც მოვიდა და ღამით გაუდექით გზას.

მგლურის ნაბიჯით მიდიოდა ის ბილიკა გზით. ჩვენ კი მალე დავიღალეთ. მტკიოდა მუხლები, მაგრამ მაინც მივაბიჯებდი.

მივაღწიეთ დანიშნულ სადგურს. იქ ერთ მეისრესთან მივედით. მატარებელზე ბილეთები გვიყიდეს. შეუმჩნევლად შევედით ვაგონში, დავწექით და ადგილიდან არ გავნძრეულვართ, სანამ მეორე ქალაქში არ ამოვყეთ თავი.

რეაქციის ყორნის ფრთები თანდათანობით ფართოვდებოდა, იშლებოდა და არალეგალური ცხოვრება ძნელდებოდა.

დევნილ ნადირთა მსგზავსათ არ ვიცოდით თავი სად შეგვეფარებინა. თანდათან ვიწროვდებოდა ფარგალი. ღამის გასათევ ბინას ძნელად ვშოულობდით.

არ ვენდობოდით არავის. ყველაზე ვფიქრობდით, რომ გაგვცემდა. ამიტომ აზრი დაავადმყოფდა. გვეგონა ყველა ჩვენ გვსდევნიდა და ჩვენი დაჭერა უნდოდა. ერთი გზა იყო თავის გადარჩენის: საზღვარგარეთ წასვლა.

ლეგალურმა ამხანაგმა აიღო თავის სახელზე პასპორტი. გავემზადე წასასვლელად, ყველაფერი მზად იყო. ბილეთიც ნაყიდი.

მატარებელში ვზივარ პასპორტით და ბილეთით ხელში.

და შეუმჩნევლად, დაავადებულ თავში ჭიასავით ნელ-ნელა მილოღავს ფიქრი: წამოსვლის დღეს არ მინახავს ის ამხანაგი, პასპორტი, რომ მომცა. ეხლა ის დაჭერილია. პოლიციამ გაიგო, რომ მათი პასპორტით მივდივარ. მაშ, ყველა სადგურებზე ტელეგრამებს გაგზავნიან და ამ პასპორტით მიმავალს დამიჭერენ; უკანვე გამომგზავნიან და კვლავ ციხეში თავს ამომიკრავენ... ეს ფიქრი ათასნაირი მოსაზრებით საბუთდება. რა ვქნა? როგორ მოვიქცე?.. გავგზავნი წერილს სახლში და თუ ის დაჭერილია, მე მივიღებ ტელეგრამას ვარშავში სხვა გვარით ფოსტაში. და უკან დავბრუნდები... არა, არა!.. ეგ, როგორ შეიძლება? აბა, რატომ დაიჭერდნენ მას? რისთვის იტყოდა, რომ პასპორტი შენ მოგცა? აბა, დააკვირდი, რა სულელური აზრია?.. იძახის გონების მეორე ნაწილი. წერილს მაინც ვგზავნი.

მატარებელი მიჭრის სივრცეში, ხრაგუნი გააქვთ ბორბლებს.

გარინდული, თითქოს არა ამ ქვეყნიური, ვზივარ კუთხეში. ვერავის ვხედავ, არავის ველაპარაკები. მგონია, რომ ყველამ იცის ჩემი მდგომარეობა. ყოველი სალდათი, ყოველი ჟანდარმი ჩემთვისაა შემოსული ვაგონში.

ბუნდოვანად ვამჩნევ სახეებს. ეს სახეები იცინიან, ლაპარაკობენ, მსჯელობენ, ხუმრობენ... მე კი, მე არ შემიძლია გამოლაპარაკება... ისინი სხვა ხალხია. მე კი, ქვეყნიერებას მოწყვეტილი, უმწეო და უბედური...

ვარშავაში ვქირაობ ეტლს, ჩამოვივლი ყველა საფოსტო განყოფილებას და ვკითხულობ ტელეგრამას. არ არის.

რა ვქნა? წავიდე? განვაგრძო გზა?...

ლანდივით დავიარები. გაურკვეველ ბურუსით არის თავი მოცული. სადგურზე მაინც მივდივარ. დამატებით ბილეთს ალექსანდროვამდი ვიღებ. სამი დღის უჭმელი ვარ და უძინარი. თავი მძიმეა, თითქო შიგ ლოდები ჩაყარესო...

აგერ ალექსანდროვო! ყველა გადადის ვაგონიდან, ბარგს ეზიდებიან, ერთმანეთს ეხმარებიან, ეჯახებიან ბოდიშს იხდიან... იცინიან, ხმა მაღლა გასძახიან... ჩადიან კიბეებზე. მეც მივდევ მათ. მიმაქვს ჩემი კალათი, ბარგის მზიდავი მეკითხება: მომეციო, მე წამოგიღებთ ბარგს... ჰა?.. მივცე? რომ მივცე, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გავცე ჩემი თავი? თუ არ მივცე?.. ჩემს სახეზე ის ვერაფერ პასუხს ამჩნევს. კალათს ხელიდან მაცლის.

განათებულს, აბრჭყვიალებულ დარბაზში მივდივართ... საჭმელების ოხშივარი, თეფშების ჩახა-ჩუხი, გაძახილი... ბარგის მზიდავს მიაქვს პასპორტი ყუთში ჩასაგდებათ. გაცინცქლული ქათამსავით კუთხეში ვდგევარ. „ბარინ, ბილეთ ნადა ვზიათ!... ჰა? ბილეთი? ავიღო, ბილეთი?.. მერე? ხომ სულ ერთია! რომ დამიჭერენ, ბილეთის ფულს დავკარგავ!!! კასასთან მაინც მივდივარ: იქვე ჟანდარმი სდგას. შემომხედა. გვერდზე ვბრუნდები. ვფიქ-

რობ: აი, ბილეთს, რომ ავიღებ მერე დამიჭერს!!. უახლოვდები კასას. „ბერლინი; ერთი ბილეთი“. მაძლევენ ბილეთს, ვბრუნდები. ჟანდარმი არ იჭერის. „არა, აქ კი არა, ვაგონში, რომ ავალ, მაშინ დამიჭერენ“.. „ბარინ ვი, კუდა იდიოტე?.. ჰა? რაო? სად მივდივარ?!! ჰო! ბერლინში,

ელექტრონით განათებული, გძელი ვაგონის დერეფანი. კუპეში ვსდებ კალათს. დერეფანში გავდივარ. აგერ მოდიან ჟანდარმები დიდი წიგნაკით და შიგ ჩაწყობილი პასპორტებით.

ერთი პასპორტი ხელში უჭირავთ. aaa!.. ეს არის ჩემი პასპორტი, როგორმე ვეტყვი ჩემ ახალ გვარს, პასპორტის წიგნაკში კი არ დაიწყებენ ძებნას!.. ხელში დაჭერილ პასპორტს ნახვენ და დამიჭერენ. რა ვქნა? გავიქცე? მერე, სად წავიდე? სად? სად? ვდგევარ გაბრუებული, ჟანდარმები ახლოვდებიან. მეკითხებიან გვარს. ვეუბნები. ეძებენ დიდ წიგნაკში, პასპორტს იღებენ და მაძლევენ. გადადიან მეორე კუპეში... პასპორტი ხელში მაქვს! ჟანდარმები გამცდენ... გონება მეუბნება: გადარჩი, რაღა გინდა? რატომ არ გიხარია? გული მაინც არ მოდის მოძრაობაში. აი, მესამე ზარი . მატარებელი სტოვებს სადგურს.. აგერ საზღვრის ხიდი... უკვე გერმანიაში ვარ! მაშ, მოვწყდი რუსეთს... უკვე საზღვარგარეთ ვარ?.. მაგრამ რატომ არ ხარობს გული?.. ეხლა მეც შემიძლია სიცილი, ლაპარაკი, ხუმრობა... მატარებელი ჩერდება პირველ სადგურზე. ეს უკვე გერმანიაა! ერთი ქალიშვილი გადადის ვაგონიდან. ბევრი ბარგი აქვს. ვერ ერევა. ვეხმარები. მადლობას—მეუბნება. და ახლა ვგრძნობ, რომ თავისუფალი ადამიანი ვარ მეც, ისეთივე, როგორც ყველა!.. რამ[illegible]ენ[illegible] საათის შემდეგ ბერლინში—უზარმაზარ ქვაბში—ჭიანჭველასავით დავიწყე ღოღვა...

გავგზავნე ტელეგრამა სახლში: ვიმყოფები ბერლინში...

დ. სულიაშვილი.



მანიფესტაცია 19 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე

## 1905

მაშინ ახალგაზრდა ვიყავ, ისევ ნორჩი და პატარა;
მაგრამ გულმა ბავშობიდან, მშრომელები შეიყვარა.
მახსოვს ხალხის მითქმა-მოთქმა, ქალაქში თუ სოფლად, მთებში,
საიდუმლოდ თავის მოყრა, სარდაფში თუ ყრუ სახლებში!..
მახსოვს ბრძოლის მწვავე ხანა, ჯალათების შემოტევა,
მშრომელებზე იერიში, მშრომელების თავ-პირ მტვრევა,
მახსოვს ბათომის მუშები,—გაბედული მათი ბრძოლა,
იმათ სახელის გამგონეს, მტრებს უვლიდა ტანში ჟრუოლა..
ვიცი გურიის გლეხობა, როგორ შეხვდა ამ დიდ მცნებას,
მხნე, მრისხანე, გაბედული გაჰყვა შრომის მტკიცე ნებას..
მაგონდება ფარულ კრებებს, განაჩენი გამოჰქონდა,
სასიკვდილოთ ამზადებდენ ვინც მათ საქმეს არ ინდობდა.
ნასაკირალზე თავდასხმა, ამოწყვეტა ყაზახების,
საქართველოს ყველა კუთხე მოწამეა ამ ამბების..
ამ დროს მეფის მანიფესტი, საიდანაც მოგვევლინა,
ვითომ გული დაამშვიდა, ვითომ ნდობა აღადგინა!..
მაგრამ ყველა ჩვენგანს სწამდა: იყო იგი [illegible]ოტყვილება,
მალე სინამდვილეთ იქცა, დავინახეთ ცრუ თქმულება..
მთელ რუსეთის დიდ სივრცეზე, გადიშალა შავი ხანა,
და ამ შავი დროს დამცაელებს, ჩამოგითვლით თანდათანა..
თუმც ყოველგან მრავალ იყო, შრომის მოსისხლე გმირები,
საქართველოსაც ეწვიენ რუსის ერთგული შვილები...
გრიაზნოვი—ტალახაძე, ალიხანოვ-ავარსკები,
კრილოვი და ტოლმაჩევი, ეს მზის ქვეყნის ამომგდები..
ცხრაას ხუთის მოძრაობა არ გამოდგა დიდ ხნიერი,
მოსისხლე მტერმა ჩაახშო, გაბედული და ძლიერი...
მაგრამ რწმენა არ გადატყდა, გაორკეცდა, გაიზარდა,
ჟამს ელოდა და ის ჟამი, ოქტომბერში დაიბადა!..

მუშა სიო ხიდისთაველი.




ქართული თარგმანი იხილეთ შემდეგ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფარული სტამბა რ. ს. დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა მოსკოვში, ლესნოი ქუჩაზე

რევოლიუციონურ ენერგიის ზრდამ და გაფიცვების სიხშირემ, 1904 წელში რ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო არალეგალურ სტამბის შექმნა სამრეწველო რაიონის ცენტრში. ც. კ. წევრის ლ. ბ. კრასინის წინადადებით ამხ. ტ. ენუქიძე გაემგზავრა ბაქოდან მოსკოვში სტამბის მოსაწყობათ. დიდი ძებნის შემდეგ ამხ. ენუქიძემ აირჩია სახლი № 55 ლესნოი ქუჩაზე (ბუტირკის ციხის ახლოს. პირველ სართულში დაქირავებული იქნა დარაბა, სადაც მოეწყო სავაჭრო „კავკასიის საქონლით“ (კაკლით, თხილით, ბრინჯით, ყველით და ხმელი ხილით). სავაჭრო გახსნილი იყო „კალანდაძის“ ფირმით, ფაქტიურად კი სავაჭროს პატრონი იყო ამხ. კობიძე თავის ცოლით.

იქ იყო ერთი მოსამსახურე ქალი ამხ. იკრიანისტოვა (ტრუბა), ყველა დანარჩენი მომუშავენი კი იყვენ ქართველები: ს. თოდრია, ს. იაშვილი, გ. სტურუა და კ. ჯაში. სავაჭროს სარდაფში, დამქირავებელის წინადადებით სახლის პატრონის მიერ ამოთხრილი იყო ჭა, ვითომდა სინესტის მოსასპობათ. ამ ჭაში, სათაურიდან ერთი არშინის დაცილებით, რევოლიუციონერებმა გამოსჭრეს მიწა სიგრძით ორი არშინი.

ეს პატარა გვირაბი თავდებოდა საკანით, რომლის სიგრძე-სიმაღლე და განი იყო ერთი საჟენი. ამ საკანში გამართული იყო საბეჭდავი ჩარხი და სანთლის შუქზე სწარმოებდა მუშაობა დღისით და ღამითაც. ჰაერი არსაიდან შემოდიოდა, რადგან საკანში შესავალი ხვრელი მჭიდროთ იხურებოდა. რამოდენიმე საათის მუშაობის შემდეგ, ამ მართლაც ჯურღმულის სტამბიდან, მომუშავენი გამოდიოდენ მოწამლულნი, ყვითელ, დასიებულ სახეებით. მაგრამ თავდადებული მუშაობა მაინც გრძელდებოდა.

სტამბა ლესნოი ქუჩაზე ჰბეჭდავდა უმთავრესად რ. ს. დ. მ. პ. ც. კ. (ბოლშევიკები) ჟურნალ „რაბოჩი“-ს, რომელიც პირველად გამოვიდა 1905 წ. აგვისტოში. გარდა ამისა იბეჭდებოდა ც. და მოსკოვის კომიტეტის პროკლამაციები და პარტიის პროგრამა.

შემდეგ სტამბა გადატანილ იქნა როჟდესტვენსკის ბულვარზე, სადაც მალე ჩავარდა.

რევოლიუციის მუზეუმის მიერ, სტამბა ლესნოი ქუჩაზე გატარებულია რეგისტრაციაში და იქ სანახავად უშვებენ როგორც ექსკურსიებს, ისე კერძო პირთაც.

**აქვე ვათავსებთ ფარული სტამბის მონაწილის ამხ. უშანგი ჯაშის მოგონებას სტამბის შესახებ.**

# ბოლშევიკური საიდუმლო სტამბა მოსკოვში 1905 წელს.

**პირადი მოგონებანი 1905 წ. რევოლიუციიდან.**

მოსკოვის საიდუმლო სტამბა 1905 წელს მოთავსებული იყო ლესნოი ქუჩაზე, სახლი № 55.

მაშინდელ რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) ცეკას თუმცა ბაქოში დიდი საიდუმლო სტამბა ჰქონდა, მაგრამ 9 იანვრის შემდეგ რევოლიუციური მოძრაობა რუსეთის სამრეწველო რაიონებში გაძლიერდა, ამისათვის საჭირო იყო ტეხნიკური საქმეც რევოლიუციურ ცენტრში გადატანილიყო. ეს კიდევ მით იყო გამოწვეული, რომ ბაქო რუსეთის განაპირა ადგილას იმყოფებოდა და დაშორებული იყო უმთავრეს ცენტრს—მოსკოვს და პეტროგრადს, ერთი მხრით, მეორე მხრით—ბაქოს საიდუმლო სტამბა აუარებელი რევოლიუციური საქმეებით დატვირთული დროზე ვერ ასწრებდა შორი მანძილიდან აესრულებია ყველაფერი ის, რაც ასაზრდოებდა რევოლიუციურად განწყობილ მუშათა კლასს. მოსკოვის საიდუმლო სტამბის ამუშავება კი კარგად განტვირთავდა ბაქოს სტამბას მუშაობიდან.

ამ მიზნით მაშინდელ ს.-დ. პ. (ბ) ცეკას ხელმძღვანელის ამხ. ნიკიტიჩის (კრასინი) განკარგულებით ბაქოდან მოსკოვში გაიგზავნა საიდუმლო სტამბის და სხვა ტეხნიკური საქმეების მოსაგვარებლად ამხ. სიმონ ენუქიძე 1905 წლის ზაფხულში, რომელმაც მოაწყო ლესნოი ქუჩაზე „კავკასიური მაღაზია“, ამ მაღაზიის ქვეშ კი, ნესტიან სარდაფში, საიდუმლო სტამბა მოსკოვის ს.-დ. მ. პ. (ბ) კომიტეტისა. სექტემბრის პირველ რიცხვებში ბაქოდან მოსკოვშივე გავემგზავრეთ ს. თოდრია და მე ამ სტამბაში სამუშაოდ.

ამ „კავკასიური მაღაზიის“ ავლა-დიდებას შეადგენდა რამდენიმე ფუთი თუშური ყველი, ამდენივე რაოდენობის თხილი და სხვა კავკასიური წვრიმალი საქონელი, რომელსაც კავკასიიდან დროგამოშვებით ვღებულობდით. ეს „საქონელი“ მაღაზიიდან იყიდებოდა ბითუმად, თუმცა გირვანქობითაც რომ გაყიდულიყო, საქონელი არა გვქონდა, პოლიციას კი ეს მაღაზია დიდი სავაჭრო სახლის განყოფილებად მიაჩნდა.

მაღაზიის გამგე იყო სილევან კობიძე. ის ცოლ-შვილით ამავე მაღაზიის უკან მოდგმულ ოთახშივე ცხოვრობდა, რომელსაც შესავალი მაღაზიის კარებიდანაც ჰქონდა და სახლის ეზოდანაც, საიდანაც მხოლოდ გადიოდენ და შემოდიოდენ სახლში ისინი, ვინც ოფიციალურად სახლის დავთარში იყვენ ჩაწერილები. კობიძეს ჰყავდა მოსამსახურედ ამხ. მარია იკრიანისტოვა, რომელიც ბინას ალაგებდა და სამზარეულოშიაც მუშაობდა. მაღაზიის ქვეშ მოთავსებული იყო სარდაფი, სადაც აქა-იქ ვითომდა საქონლის საწყობის



სოსო ჯუღაშვილი 12 წლისა

შმსგავსად ეწყო ყუთები, უმეტესად ცარიელი, რომლითაც დაბეჭდილი ფურცლები გადიოდა და გარედან კი შემოდიოდა ქაღალდი სტამბისათვის და სხვ.

ამ მაღაზიის სარდაფის ქვეშ კიდევ გაკეთებული იყო მეორე სარდაფი, იქვე ჩასავალში პატარა კიბე, რის საშუალებით სამუშაოდ სტამბაში ჯერ ამ ორმოში უნდა ჩავსულიყავით, შემდეგ აქედან კი სიგანით გამოთხრილი იყო ხვრელი, რომლიდანაც ერთ კაცს შეეძლო შიგ შესვლა.



სოსო ჯუღაშვილი 15 წლისა

შიგ სტამბაში შეიძლებოდა მხოლოდ ორი კაცის მუშაობა; სინათლისთვის ვხმარობდით კართოფილის სანთელს, მეეტლეები რომ ხმარობენ სტამბაში მეტი შუქის გასაჩენად ინთებოდა რამდენიმე ერთად. საბეჭდავი მანქანის როლს ასრულებდა გუტენბერგის დროინდელი ძველი „ბასტონკა“ (ამერიკანკის მსგავსი პატარა მანქანაა), რომელზედაც იბეჭდებოდა ჟურნალი „რაბოჩი“ და მოსკოვის კომიტეტის ყველა მოწოდებები და პროკლამაციები. სტამბის კედლებიდან (თუ შეიძლება კედელი უწოდოთ ამ ორმოს) მეტი სინესტის გამო წვეთები ჩამოდიოდა და საშინელი სიცივე იყო ამის გამო სტამბაში, მაგრამ სითბოც არ გვაკლდა, რადგან ორი კაცის ორთქლი და სანთლების შუქი მაინც თავის ძალას იჩენდენ და ეს პატარა ორმო ცოტად თუ ბევრად თბილი იყო, აგრეთვე იქ მომუშავეებსაც სპეცტანსაცმელი არ გვაკლდა: ფეხებზე თბილი ქეჩა, ტანზე კიდევ ასეთი ტანისამოსი და ამ რიგად შეიძლებოდა იქ მუშაობა. გარდა ამისა, ვინაიდან ორი კაცისთვის სამყოფი ჰაერი არ მოიპოვებოდა, ხშირად ვეცვლებოდით ერთი-ერთმანეთს და ერთნაირ მორიგეობას ვეწეოდით. სიმონ ენუქიძეს ორგანიზაციულად კავშირი ჰქონდა მოსკოვის კომიტეტთან და მისი საშუალებით ვიღებდით ყველა შეკვეთებს სტამბაში დასაბეჭდათ. ფინანსიური საქმე და ტეხნიკურიც მას ებარა, ის კი უშუალოდ იყო შეკავშირებული კრასინთან, რომელიც იმ ხანებში ბაქოდან მოსკოვში იყო ჩამოსაული.

სტამბაში მუდმივად მუშაობდენ შემდეგი ამხანაგები: ს. თოდ-

# 1905 წლის პრესა საქართველოში




რია, სანდრო იაშვილი, გიორგი სტურუა და მე. თოდრია და გ. სტურუა როგორც სპეცი მბეჭდავები, მე და იაშვილი, როგორც ასოთ-ამწყობნი, თუმცა საიდუმლო სტამბებში ასოთაწყობა არა ასოთ-ამწყობებმა ამხანაგებმაც ბევრმა ისწავლეს 1905 წლის რევოლიუციის დროს; ს. თოდრიამ და გ. სტურუამაც იცოდენ ასოების აწყობა, როგორც ჩვენ ვიცოდით „ბასტონკაზე" ბეჭდვის ხელობა. ასე რომ, როლებს ხშირათ ვუთმობდით ერთი-მეორეს ყველა იქ მომუშავენი. მომუშავეთა შორის ყველაზე მაღალი ტანის იყო ამხ. გ. სტურუა, რის გამოც ის მოკუზული მუშაობდა, რადგან მისი ახმახი ტანი ამ ორმოში ვერ იმართებოდა.

გიორგი სტურუა ბინად იყო „კავკასიური მაღაზიის" პატრონთან სილევან კობიძესთან, როგორც მისი მაღაზიის ნოქარი; მასთანვე სადილობდა და იძინებდა. სანდრო იაშვილი ცხოვრობდა პალიხის ქუჩაზე, 200 საჟენით დაშორებული სტამბიდან, სადაც სამუშაოდ მიდიოდა ოთახიდან და შედიოდა მაღაზიის კარებით შიგ სტამბაში ქუჩის მხრით; რომ პოლიციას ეჭვი არ მიეტანა საიდუმლო სტამბაზე, ამისთვის მაღაზიაში შევდიოდით, როგორც მყიდველები და კომისიონერები. თვით კობიძე შეხედულებით მართლა კომერსანტს წააგავდა, ისე ეჭირა თავი, როგორც დიდ სოვდაგარს. მე და სილიბისტრო თოდრია ვცხოვრობდით დოლგორუკოვის ქუჩის კუთხეში, ბუტირკის საკატორღო ციხის პირდაპირ, ასე რომ ჩვენი სახლიდან სჩანდა ციხის ფანჯრები და ტუსაღებიც; ჩვენც მორიგეობით მივდიოდით სამუშაოდ ბინიდან; ვცხოვრობდით მესამე სართულში ერთ პატარა ოთახში, რომელიც გვიქირავა სიმონ ენუქიძემ ბაქოდან ჩამოსვლისთანავე მოსკოვში. სხვათა შორის ჩვენ მეზობლად ბევრი სტუდენტობა ცხოვრობდა, რომლებთანაც მჭიდრო მეზობლური კავშირი გვქონდა და ხშირად ვბაასობდით პოლიტიკურ საკითხებზე.



ყაზახები ამშვიდებენ

ჩვენთან ერთად ამ სტამბაშივე მუშაობდა ერთი რუსი ამხანაგი ქ. ტულის სოც.-დემ. მუშათა პარტიის (ბ) მიერ მოსკოვის კომიტეტის განკარგულებაში გამოგზავნილი. მას მოვალეობას შეადგენდა მაღაზიაში ყოფნა, როგორც უფროსი ნოქარი, და ამხ. კობიძის სადმე წასვლის დროს ის მის მოადგილედ რჩებოდა. როგორც მახსოვს, მისი გვარი იყო პეტროვი. ცოტა ხნის შემდეგ ის მოსკოვის კომიტეტმა უკან გაიწვია სხვა სამუშაოზე გასაგზავნად.

როგორ განწყობილებაში ვიყავით იქ მომუშავე ამხანაგები? მიუხედავად ძნელი კონსპირატიულ მუშაობის პირობებისა, ჩვენ შორის არ მახსოვს, რომ რაიმე უთანხმოებას ჰქონებოდეს ადგილი. ყველა ჩვენთაგანი მხოლოდ იმით იყო გატაცებული, რომ ჩქარა თვითმპყრობელობას ბოლო მოღებოდა და საიდუმლო სტამბას რაიმე ხიფათი არ შემთხვევოდა, კონსპირაციას და დისციპლინას უსიტყვოდ ასრულებდა ყველა. იყო ერთი შემთხვევა: ეს ის, რომ ამხ. კობიძეს ცოლი გაუხდა მძიმე ავად, რამაც ძლიერ შეგვაწუხა ყველა სტამბაში მომუშავენი, მაგრამ ექიმი ქალის საშუალებით, რომელიც ღამით მე მოვიყვანე, საქმე მშვიდობიანად დამთავრდა და ავადმყოფიც გამოკეთდა.

სამაგალითო კიდევ ის არის, რომ სტამბა იყო მოწყობილი სწორედ ცენტრალურ სატუსაღოს ბუტირკის გვერდზე, ასე რომ ხშირად ვიყავით მოწამე, როცა სტამბაში სამუშაოდ მივეჩქარებოდით, საგუშაგოზე მდგომი ჯარისკაცი ამ დროს იცვლებოდა და სხვას აბარებდა თავის სადარაჯოს, ჩვენ კი მაღაზიის კარებიდან სტამბაში მივეშურებოდით სამუშაოდ და გვეცინებოდა.

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ სტამბაში მუშაობამ მოიკლო, ვინაიდან ყველანი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ საიდუმლო სტამბაში მუშაობა აღარ იქნებოდა საჭირო ბეჭდვითი სიტყვის „თავისუფლების“ გამოცხადების გამო 17 ოქტომბრის მანიფესტის დროს. გარდა ამისა ყველა ლიბერალური გაზეთები აღტაცებულნი იყვნენ ნიკოლოზის მიერ ასეთი „მოწყალების“ მოცემის შემდეგ.

მანიფესტის გამოსვლამდე და შემდეგ ძლიერ გახშირდა მიტინგები უნივერსიტეტში და სხვა მაღალ სასწავლებლებში, რასაც ყველა ამხანაგები თითქმის ყოველ საღამოობით ვესწრებოდით.

ამხ. ბაუმანის დასაფლავებამ, რომელსაც 100.000 კაცზე მეტი დაესწრო, აშკარად დასვა საკითხი, რომ მოსალოდნელი იყო შეიარაღებული აჯანყება, რომლისთვისაც სტამბაში მომუშავე ამხანაგებიც ვემზადებოდით და სამხედრო ვარჯიშობასაც ვესწრებოდით პეტროვსკო-რაზუმოვსკის სამეურნეო უმაღლეს ინსტიტუტის ბაღში და მოსკოვის კომიტეტის მიერ დანიშნული ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით იარაღის ხმარებასაც ვსწავლობდით მაუზერებითა და ბრაუნინგებით.

სიმონ ეხუქიძის მოსკოვიდან წასვლის შემდეგ სტამბასთან კავშირი დაიჭირა მოსკოვის კომიტეტის (ბ) წევრმა ამხ. სოკოლოვმა, რომელიც ამხ. სანდრო იაშვილთან იყო შეკავშირებული.

გარდა ზემო თქმულისა, კიდევ მინდა შევნიშნო ერთი გარემოება, რომელიც კონსპირაციას შეეხება. ტვერის ქუჩის ახლოს, ლეონტიევის შესახვევში, № 2, ძირს სარდაფში კავკასიური რესტორანი ჰქონდა ერთ გურულს, გვარად მენაბდეს, სადაც დროგამოშვებით დავიარებოდით საღამოობით. სიმონ ეხუქიძეს აქ უხდებოდა ხშირად შეხვედრა მოსკოვის კომიტეტის წევრებთან, მათ შორის კრასინთანაც. სტამბაში დაბეჭდილი პროკლამაციებიც აქ მიჰქონდა მას გადასაცემად და სხვა მასალებსაც ამ რესტორანის საშუალებით ღებულობდა ის სტამბაში გადმოსაცემად. იცოდა თუ არა სტამბის არსებობის შესახებ მენაბდემ რაიმე, ან ვინ ვიყავით მისი მუშტრები, არ ვიცი. ვფიქრობ, რომ არ უნდა სცოდნოდა, მხოლოდ ჩვენი რესტორანში ჩასვლა კი უხაროდა, როგორც ქართველს, მაგრამ დიდი მხარჯველები რომ არ ვიყავით, ეს სჩანდა ვახშმის შემდეგ „სჩეტის“ წარმოდგენისას, რაც შეადგენდა ორიოდე მანეთს...

ეხლა ორიოდე სიტყვა მოსკოვის აჯანყების შესახებ. აჯანყების საკითხი გადაწყვიტა მუშათა დეპუტატების საბჭომ 6 დეკემბერს. იმ საღამოსვე ამხ. ს. იაშვილთან ერთად მოსკოვის კომიტეტის განკარგულებით გავემგზავრეთ პეტროგრადში ორი კიდევ სხვა ამხანაგებთან ერთად იარაღის ტრანსპორტის ჩამოსატანად; პეტროგრადში საერთო პოლიტიკური გაფიცვა იყო გამოცხადებული, მხოლოდ მარტო ნიკოლაევის რკინის გზის ხაზი მუშაობდა, მთელი პეტროგრადის ქარხნები და სხვა რკინის გზები გაჩერებული იყო. ქალაქში გაძლიერებული წესი იყო და ყოველ ფეხის გადადგმაზე ყაზახები და გვარდიის ჯარისკაცები იყვნენ, ასე რომ ძნელი ფიქრი იმაზე, რომ მოსკოვს აჯანყებაში მხარს დაუჭერდა პეტროგრადი. ასეც მოხდა... 8 დეკემბერს სანდრო იაშვილი დაბრუნდა მოსკოვში, სადაც უკვე გაცხარებული ბარიკადული ბრძოლა სწარმოებდა ქუჩებში, იაშვილს კი თავის ბინაზე კონსპირატიულად პატარა იარაღის საწყობი ჰქონდა, რომლის დიდი მოთხოვნილება იყო მაშინ. იარაღი კი მარტო სანდროს შეეძლო გაეცა.

სტამბა ლესნოი ქუჩაზე შემდეგ გადატანილ იქნა ამხ. თოდრიას და გ. სტურუას მეთაურობით, მხოლოდ არსებობდა თუ არა „კავკასიური მაღაზია“ ამის შემდეგ, არ ვიცი, რადგან აპრილის ბოლო რიცხვებში გავემგზავრე პეტროგრადში და იქ ვმუშაობდი ბოლშევიკების სტამბა ამხ. „დელო“-ში ფონტანკაზე, № 90, რომელსაც განაგებდა ამხ. კსანდროვი.

ორიოდე სიტყვა ამხ. სილევან კობიძის შესახებ. ყველა მოსკოვის სტამბაში მომუშავენი ცოცხლები არიან, მხოლოდ წრეულს ზაფხულში ტვინის ახთებით გარდაიცვალა სილევან კობიძე. ის მსახურებდა ტყაეტრესტის მაღაზიაში. მისი ცოლი, რომელიც საერთო სურათშია, დღეს განიცდის უკიდურეს გაჭირვებას და არსებობის სახსარი, არ გააჩნია. მას ჰყავს მცირეწლოვანი ვაჟი. საჭიროა ამ ადამიანის წარსული შეფასდეს პირველი რევოლიუციის 20 წლის თავზე და მას სათანადო დახმარება აღმოეჩინოს. ვფიქრობ, რომ ეს აქტიური მონაწილე მოსკოვის საიდუმლო სტამბაში მუშაობისა ღირსია ყურადღებისა სათანადო ორგანოების მიერ.

უ. ჯაში (ყარამან).

ტფილისი, 10 დეკემბერი, 1925 წ.



ყაზახები ხალხს „ამშვიდებენ“.

# 1905.

— ამხ. დღეს დიდი მიტინგია მალაქოევის სახლის იქით მდებარე მინდორზე—ყველანი მოდით...

— დღეს საყდართანაა მიტინგი...

ასე იყო თითქმის ყოველ დღეს. ხან ერთ ადგილზე იმართებოდა კრებები და ხან მეორეზე. ყოველ ყრილობას, იცავდა მუშებიდან შეძდგარი რაზმები. მაშინ, როდესაც ქალაქის შუა ქუჩებში ჯაშუშები გამოძვრენ სოროებიდან და უკვე დაიწყეს ფუსფუსი—როცა შ...ულ ქალაქში გამოჩნდა „პატრულები". ნაძალადევი კიდევ რევოლიუციონერ მუშათა ხელში იყო და იქ ვერვინ ბედავდა მისვლას და თუ რომელიმე თავმოძულებული გაბედავდა ნაძალადევის არეზე ფეხის შემოდგმას, რათა გაეცა მუშათა ორგანიზაციები, მას ფიცხლავ აგზავნიდნენ „შაბიამანზე".

ერთ დღეს, ქალაქის მხრიდან, მოისმა სროლის ხმა... ნაძალადევი ფეხზედ დადგა—შეიარაღდა. მოვიდა ცნობა, ქვედა უბანში (მეითან-ბაზარში) თათარ-სომეხთა შეტაკება მოხდაო—ბრძოლას განაგრძობენო. მაშინდლ მთავრობამ, მუშებს მისცა არსენალიდან 500 ცალი თოფი 9.000 ვაზნით ისიდორე რამიშვილის ხელწერილის ქვეშ, რათა მათ ჩაექროთ ხოცვა-ულეტა. ესეც ერთნაირი პოლიტიკა იყო მთავრობის. მას იმედი ჰქონდა, ამით გაართულებდა საქმეს და თვითონ კი შორიდან ისიამოვნებდა—მარა მოსტყუვდა ანგარიშში—მუშები ჩაუდგნენ შუაში მებრძოლთ და აქით სცდილობდენ მათ მორიგებას. მალე მოხდა მორიგი პროვოკაცია: მოკლეს რაზმელები: რაჟდენ სტურუა და ერთიც რუსი, მოიტაცეს და მერე უგზო-უკვლოდ დაიკარგა რაზმელი ვანო ტორიკაშვილი...

დაბრუნდნენ უკან ნაძალადეველები და უფრო გაამაგრეს თავიანთი უბანი.

ერთ საღამოს ამხანაგებმა, რკინის გზის საბარგო სადგურიდან ჩუმათ ამოიტანეს რამოდენიმე ყუთი ნაბდებში შეხვეული ყაზახური ვინტოვკები და დაალაგეს ბიუროს საწყობში ამასობაში რეაქციაც მომაგრდა და მოითხოვა 500 თოფის უკან ჩაბარება. ნაწილი ჩააბარეს, უმეტესი კი მიმალეს და ზოგიც სოფლად გაიტანეს. დანარჩენი იარაღი სადგურიდან ამოტანილებთან ერთად გადამალეს მუშა კოლა ვიგორბინის სახლში, ამ ოჯახშივე იმართებოდა არალეგალური სხდომები და სწარმოებდა გაცხოველებული მუშაობა. ერთ საღამო ჟამს, როცა მზადდებოდა ვაზნები, ამხ. ორი ნიკა ხოდელს გაუსკდა კაპსული და დაუზიანდა ხელები. არც ხოდელს, არც კოლა ვიგორბინს და მისი მეუღლეს მართას წარბიც არ შეუხრიათ და განაგრძეს შეკვეთის თავდავიწყებითი ასრულება. ამხ. მართა მებრძოლ შტაბის იარაღის საწყობის გამგე იყო, ვაზნებს და თოფებს ის არიგებდა ასეთ შრომაში იყო ეს ოჯახი ყოველ დღე-ღამე...

9 დეკემბერი. იმატა იარაღის მოთხოვნილებამ. საყველას ეტყობოდა არაჩვეულებრივობა და აღშფოთება. საღამო ჟამს მოვიდა ქალაქის რაიონის ათეული ამხ. „კამოს" თაოსნობით, ათეულში ვიცანი ამხ. ილიკო ნინიძე ნოქარი—ბოლშევიკი. სათანადო ინსტრუქციის მიღების შემდეგ წავიდ-წამოვიდნენ ნაძალადევის ირგვლივ მთებში თავის უბნის მტრის უცაბედათ დაცემისაგან უზრუნველსაყოფად... მიიძინა ნაძალადევმა—არ ეძინათ მხოლოდ მუშა-გუშაგებს, ფხიზლად იდგნენ თავის სადარაჯოებზედ და გაყურებდნენ თოვლით მოსილ არეს... არც ერთი არ გრძნობდა თუ რას უმზადებდა მათ ის ღამე.

გათენდა.—მართა და კოლა ადრე წამოდგნენ ჩვეულებისამებრ, გამოვიდნენ აივანზედ და იქვე გაქვავდენ მოულოდნელ სანახაობიდან... ყოველ კუთხეში, ყოველ ალაყაფის კარებთან ჯარისკაცები და ყაზახები იყვენ გაჩერებული, მეზობლის სახლის ეზო, სავსე იყო ჯარით—ეს ეზო კი იყო ოფიციალური ბიუროს საწყობი. ცივად შემობრუნდნენ ორთავე მეგობრები ოთახში, სადაც მაგიდაზე იყო დაფანტული იარაღის ყოველნაირი ნაწილები, ვაზნები და კუთხეებში მიყუდებული თოფები. ფიცხლავ მოისაზრეს რაც უნდა გაეკეთებინათ, გაალღვიძეს თავიანთი უფროსი ვაჟები და დაუწყეს ყველა თოფებს ჭილოფებში შეხვევა, ვაჟები კი ჩაგზავნეს სარდაფში (ჩასავალი კარი ჰქონდა აივნიდან). მათ გათხარეს სამი ორმო, გააფართოვეს სამალავები და რამოდენიმე ხნის განმავლობაში დიდის გაჭირვებით, მუცელზე ხოხვით და წვალებით ყველა იარაღი ჩაიტანეს სარდაფში. ჩაფლეს, შემალეს, შელესეს, წააყარეს მიწა, ნაგავი, ნახშირი და ისევე მობრუნდნენ ოთახში, აქაც მოსპეს ყოველივე ნიშან-წყალი არსებულ იარაღისა და წამლისა.

არ გასულა ამის შემდეგ 15 წუთი, რომ სახლს ჯარი შემოესია. მოედვნენ ოთახებს, გადააბრუნეს ყველაფერი... მაგრამ—ამ დროს მოისმა საყვირის ხმა „მოიხსენით"—ვერ მოასწრეს სარდაფში ჩასვლა. ჩვენმა მეგობრებმაც ამოისუნთქეს თავისუფლად. გადარჩა მებრძოლთა საწყობი, მაგრამ არ გადარჩნენ თვით მებრძოლი—გუშაგნი.

დილის ათი საათია. ზევიდან ჩამოვიდა ხუდადოვის ბაღის დარაჯი და შეგვატყობინა: ბაღში დახოცილები არიანო და ჩემთან კი ერთი დაჭრილია. იმ წუთსვე მუშები საკაცეებით გაქანდნენ მთებში, სადაც მათ გულშემზარავი სურათი წარმოუდგათ თვალწინ: აქა-იქ ეყარენ დახოცილი-დასახიჩრებული ამხანაგები—ჯერ მოეკლათ ტყვიით და მერე კი დაეცხრილათ ხიშტებით. მტერს ზევიდან მოევლო მთიდან. იქვე ვნახე განგმირული ილიკო ნინიძეც, მის გვერდით,—მდევივით მუხრანელი გლეხი, რომელსაც თავისი თოფი შუაზე გადატეხილი გვერდზედ ეგდო—ეტყობოდა ვაზნები რომ გამოლევია, თოფი გაუტეხია მტერს არ დარჩესო. თვით მდგომარეობა და მიდამოც გვიჩვენებდა, რომ ბრძოლა სასტიკი ყოფილა. დაჭრილი აღმოჩნდა გაგნიძე—მუშა. ამ ბრძოლას შესწირვია მთელი ათეული ამხანაგი კამოსი—თვით კამო ვნახეთ საყდართან ძლიერ ნაცემი—უფიქრიათ მოკვდაო და თავი მიუნებებიათ. ყველა მიცვალებულები—დახოცილები ჩამოასვენეს ნაძალადევში, მოათავსეს ერთ-ერთ სახლში—საყდართან ახლოს და აი, აქაც კოლა ვიგორბინმა და კიდე ერთი ამხანაგი (გვარი არ მახსოვს) დაბანეს, გაასუფთავეს და ჩააცვეს ტანისამოსი დახოცილთ.

ზოგიერთი ამხანაგი თავისი ჭირისუფლებმა წაასვენეს სოფლებში, მხოლოდ დანარჩენი 5 ამხანაგი დაასაფლავეს თვით მუშე-



1905 წ. 1-ველ გიმნაზიის პანსიონერების საწოლი ოთახი, აკლებული 22 ოქტომბერს ამ ოთახში სხვადასხვა ადგილას 167 ტყვიის ნიშანია.

ზმა მაღლა გორაზე, რომელსაც ეწოდა ძმათა სასაფლაო.—შემდეგ ხულიგნებისაგან დანგრეული და დასვრილი, და აწ კი მივიწყებული.—იმ დღისითვე და მეორე დღეს მართამ ყველა თოფები მთელი ორი ღამის განმავლობაში ატანდა ხაბადში გამოხვეულ ამხანაგებს სტეპკო პარკუსაძეს და ზაქარია ჩოდრიშვილს, რომლებმაც გადაიტანეს სხვა ბინაზე. დარჩა მხოლოდ ორი თოფი მამა-შვილისათვის და ერთიც დიდი ასაფეთქებელი საათივით მოსამართი მანქანა, რომელიც ჩამარხეს ეზოში აკაციის ქვეშ.

ჯერ არც კი იყვნენ მიბარებულნი მიწას დახოცილი ამხანაგები, რომ ყაზახებმა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ხიშტებით მოკლეს ბომბისტი სერგო ბურჭულაძე—ბომბები აღმოაჩნდა ზედ წელზედ ქამარში.

რამოდენიმე თვის შემდეგ ისევე ააფორიაქეს კოლას ეზო, იპოვეს ბევრი ვაზნები, პროკლამაცია, კომიტეტის ბეჭდები და ხიშტები. მანქანას კი ვერ მიაგნეს, ვინაიდან ის ალაგი ძლიერ დატკეპნილი იყო. დაატუსაღეს კოლა, სამი თვის შემდეგ გადაასახლეს ცივ ქვეყანაში, მარა იქიდან გამოიპარა, რათა განეგრძო ძველი საქმე.

---

ასე დამარცხდა მორიგ ბრძოლაში ჩაქალადევი—მაგრამ სამაგიეროთ გაკაჟდა მომავალ შეხვედრისათვის, სადაც ის გამარჯვებული გამოვიდა.

პეტრე ვიგორბინი.



1905 წელი. ჩხრიკა თბილისის ქუჩებში

---

# უკანასკნელი საათი

(მოგონება)

დილაა...

სახლები, ხეები. ღობეები თეთრი თოვლით შელესილა.

სუდარაში გახვეული ქალაქი.

ხალხი კი სადღესასწაულოდ გამოწყობილა.

ის ვერ ჰგრძნობს მომავალ უბედობას.

მას არ ესმის ტარტაროზის ხარხარი.

ზეიმობს.

შავ დღეს ზეიმობს

სისხლიან დღეს ზეიმობს...

—:—

ჩემს გვერდზე ოთახში მობინადრე უმუშევარი ოფიციანტი სადღესასწაულოდ მოპრანჭულა

იგიც ზეიმობს

— საით ემზადებით?—შევეკითხე მე

— დღეს დიდებული დღეა რუსის ხალხისათვის: სასახლის მოედანზე მოვლენ მამა გაპონის წინამძღოლობით პუტილოვის ქარხნის მუშები და მეფე პირადათ მოელაპარაკება მათ საჭირბოროტო საქმეზე!—მხიარულათ მომიგო მეზობელმა

— ამ სიცივეში როგორ უნდა გამოვიდეს გარედ, რომ შეცივდეს!

— თქვენ, რაც გინდათ ის სთქვით და რუსის ხალხი კი ბედნიერია დღეს! თქვენ უცხოელი ხართ, და, რასაკვირველია, რუსების ბედნიერება თქვენთვის არაფერია!—წყენით მომიგო მეზობელმა

— რაშია ბედნიერება? კვლავ შევეკითხე.

— განა ბედნიერება არ არის, რომ მეფე მამა ძვირფასი რუსის ხალხისა, გამოდის ქუჩაში, უბრალოთ, ჭუჭყიან ხალხს ელაპარაკება, ეკითხება თუ ვის რა სტკივა, ვის რა უნდა, და აკმაყოფილებს ყველას?!—მკითხა თავის მხრით მან, ქუდი დაიხურა და გარედ გავიდა საჩქაროდ

საზეიმოთ გაეშურა „ბედნიერი რუსი"...

ორი წუთის შემდეგ მეც გამოვედი გარედ და პირდაპირ ნევის პროსპექტისაკენ შევაყოლე.

—:—

სასახლის მოედნისაკენ აუარებელი ხალხი მიდის.

მოდიან მუშები.

მოსამსახურენი.

ქალები

ბავშვები

მეფე გამოვა სასახლიდან და ხალხს მოელაპარაკება საჭირ ბოროტო საქმეზე

ჭეშმარიტად ბედნიერია რუსის ხალხი, რომ ასეთი მეფე ჰყავს...

ასეთ ამბავს მხოლოდ ძველ ზღაპრებში აღმოიკითხავთ

ყოფილან ოდესმე ასეთი გულკეთილი მეფეები.

მაგრამ რად გვინდა ზღაპარი?

ასეთი საზღაპრო ამბავი დღეს ჩვენ თვალ წინ ხდება...

მიდის სასახლის კარზე ჩემი მეზობელი უმუშევარი ოფიციანტი.

იქ მეფე გამოდის და ეკითხება:

რა დარდი გაქვს და რა გაწუხებს?

უადგილოდ ვარ.

ამის შემდეგ მეფე უკეთებს „რეკომენდაციას" ერთ-

ერთ ტრახტირში და მზად არის. უმუშევარმა ადგილი იშოვნა...

—:—

მივდივარ. მინდა შორიდან მაინც დავინახო ზღაპრული მეფე და სასახლესთან დაგროვილი „ბედნიერი ხალხი“...

მივაღწიე მოედანს.

ზღვა ხალხია.

ხორუგვები.

ისმის საეკლესიო გალობა.

შორს ჩემგან, დიდ მანძილზე ვიღაც რაღაცას იძახის რიხიანად.

ცოტა ხანიც და...

— Пли!—გაისმა ჰაერში რიხიანი ხმა.

მას მოჰყვა თოფის გრიალი

ჯალათებო!! ჯალათებო!!

ლანძღვა გინება, წყევლა-კრულვა ერთმანეთში აირია.

ისმის ტირილი, კვნესა.

შეშინებულ ხალხის ტალღამ უკან გამიტაცა.

მოგორავს იგი და მეც თან მიმაქანებს.

ხალხმა შესახვევებს მიაშურა.

შეთხელდა ტალღა.

— ესეც შენი ბედნიერი ხალხი!—წამოვიძახე და სახლისკენ გავემართე.

---

ჩემი მეზობელი ოფიციანტი უკვე სახლშია.

სირბილში ცალი კალოში დაუკარგავს და უწმაწური სიტყვებით ლანძღავს ცოლს.

— იყავით სასახლის მოედანზე?—ვეკითხე მე.

— ვიყავი, როგორ არა!—მომიგო მან.

— რა ნახეთ?

— რა უნდა მენახა, მიველი თუ არა, შიგ სასახლის ჴარებში ჩავდექი, ასე რომ მეფე რომ გამოვიდა, პირველად მე მნახა. მომესალმა მამაშვილურად, შუბლში მაკოცა, ჩემი სულელი დუნიაშა მოიკითხა და მერე ხალხს მიესაყვარლა!..

— არაფრით გაგიმასპინძლდათ?

— როგორ არა, გაგვიმასპინძლდა ცხელი ტყვიით ზოგს შუბლში, ზოგს გულში... ამოწყვიტა ღმერთმა მისი ცოლ-შვილი!—მომიგო მან, გამოაფურთხა და დაიწყო წყევლა-კრულვა.

---

გოროხოვის ქუჩიდან ზაგოროდნი პროსპექტზე ამოიარა სასახლის მოედანზე დახოცილ მუშებით დატვირთულმა დროგებმა.

ცხენები ზანტად მიათრევდენ თავიანთ ტვირთს ობუხოვოს საავადმყოფოსაკენ. მთელი ქუჩის სიგრძეზე დროგებიდან ჩამონადენი სისხლის ზოლია გავლებული.

წითელი სისხლი თეთრ თოვლზე.

— არა უშავს, ეს დაქცეული სისხლი ცუდად არ ჩაუვლის ჩვენს ჯალათებს! დადგება მათი განკითხვის დღე და პროლეტარიატი გაასამართლებს მათ! დაჰკრავს მათი უკანასკნელი საათი და წარსდგებიან იგინი პროლეტარიატის სამსჯავროს წინაშე! ის გაასამართლებს მათ!—ხმამაღლა იძახის ერთი მუშა.

— ამხანაგო, ფრთხილად!—აფრთხილებს მეორე და შეშინებული აქეთ-იქით იყურება.

— ფრთხილად კი არა, ყველამ უნდა ვიყვიროთ და ხმამაღლა განვაცხადოთ ჩვენი გულისწყრომა ჯალათებისადმი! უნდა ვიბრძოლოთ!—დაიძახა მან.

— ამხანაგო, ცარიელი ყვირილით არაფერი გამოვა...

— აი, ნახე, თუ არ გამოვა! დაჰკრავს მათი უკანასკნელი საათი!—განიმეორა აღელვებულმა მუშამ და გზას გაუდგა.

და მართლაც დაჰკრა სისხლისმსმელ ჯალათების უკანასკნელმა საათმა 1917 წლის 27 თებერვალს, და შემდეგ უფრო მძლავრად 25 ოქტომბერმა.

ამ დღიდან სამუდამოდ დაემხო და დაიმსხვრა რამდენიმე ასი წლის განმავლობაში ურყევად მდგარი რუსეთის თვითმპყრობელობის ძლიერი ტახტი!.. ტახტის ირგვლივ მოფუსფუსე ჯალათები კი გაასამართლა თავისებური სამართალით გამარჯვებულმა პროლეტარიატმა და ღირსეული განაჩენიც გამოუტანა მათ...

მუშა ნიკო ასლამაზიშვილი.



22 ოქტომბრის ამბები თბილისში—ჯარის კაცები ჰხოცვენ გიმნაზიელ ყმაწვილებს 1-ლ გიმნაზიის დერეფანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარიკატურები 1905 წლის ქართული პრესიდან

(„ცნობის ფურცელი“ ნახ. ო. შლინგის)







1905 წ. უხილავი ძალა „შეითანი“, რომელიც ჰბადავს ყოველგვარ არეულობას ერების ურთიერთ სიძულვილს, მხოლოდ იმისთვის, რომ გადაყლაპოს პროგრესიული ელემენტები და ამით კუჭი გაიძღოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორისტული განყოფილება

## 1905 წელი

### მკითხველს

წარსულის ჯურღმულებს
ხვხადე ფარდები
და ქვეყნად ჩაგრულებს
მოვხსენი დარდები.
ვაცავლე ბრძოლის ველს
სახნისი, გუთანი,
შენც ჩემს კვალს სასურველს
მადლობა უთხარი,
რადგანაც, თუ შვებით
თავსა გრძნობ ამ ხანად,
თუ ყველგან ძმებს ხვდებ
და ერთგულ ამხანაგს,
ყველა ეს შედეგად
მოჰყვა ჩემ ტევისა,
მიზნად და წესდებად
ბრძოლის და ძლევისა...

**დრამა, საკურთხი, საყდარი და სახელმწიფო**

უშორეს ამისა,
თაფლივით ხსენება
ხუცური დრამისა!..
ეს ქვეყნის შვენება
გადადგა ისე, ვით
ხურჯინით—საკურთხი,—
არც ზევით, არც ქვევით,—
როგორც რომ ნაფურთხი!
რას იზამთ? დროება
ჩარხია, მბრუნავი,
და გარემოება
ცხრად წელში მღუნავი!
მხოლოდ აქ კითხვაა:
ვის ღუნავს? ვის მართავს?
ზოგისთვის რისხვაა,
ზოგს აგებს სამართალს!..

—:—



ბი, ეს სურათი,
ანუ ეს შემთხვევა!
ნუ ოცობ ნურათი,
თუ გლარჯს რად ეწევა
ეს ღიპის პატრონი,
ჩამჯდარი რბილ სელში!
ვინ იცის რამდონი
ცოდვა აქვს მუცელში?!
ის მაზრის კვერთხია,
ძალა და დიდება,
დღეს განაფერთხია
და აღარც გვინდება,
წარსული მას ეპყრა,
ის იყო მმართველი,
თუმც უფხო და ხეპრე,
წესრიგის დამცველი!..
მეორე კი „ცოდვებს
ქვეყნად თვით აშორებს“:
ცით, ღმერთით აბოდებს
და ქვეშ ხალხს აღორებს!..
ამ „მორგვს“ ეს უზიდავს
„ცხელ ამბებს“ სოფლიდან,
და „ტიკს“ რომ უხსნის თავს,
ამოდის ონტიდან
იმათი, ვინც დრამა
ნაოხრათ უქცია,
და რადგანც სურს ჭამა,
აი ეს „ფუნქცია“
იტვირთა, რომ „მორგვი“
თითოჯერ კვირაში
ნახოს და, ვით მოგვი
ძველს პალესტინაში,
გადასცემს „მოძღვრებას“
შორიდან შორითა.
კვლავ უკან მოძვრება
საყვარელ ჯორითა...

**აქა მოსვლა „ბლუზიანისა“ და გასწორება „კუზიანისა“**

მაგრამ ჰა, სოფლის თავს,
თუ სოფლის ბოლოსა



ეს რაა? წყვილს ხედავს,
თუ ზოგჯერ ხოლოსა.
— „ხუცესო. ნუ ღოღავ!
ხუცესო, გასწორდი!..“
— კი, შვილო, ნუ მომკლავ,
ეს ერთი დავლორდი,
დღიდან პირს შევიკრავ
და აღარც გავაღებ
ხვალ კი ის... მირბის კვლავ
და აღარც გავაღებ!..

**აქა დურმიშხან თავადაზნაურაძეები და „ახალი თაობა“**

და განა, მარტოა
ამ როლში ხუცესი?
წრე უფრო ფართოა,
და თანაც უგრძესი!
ბედის შიგ თავადი,
აზნაურ—„კულაკი“...
ამ სენით ავათა
ბევრია მსუნაგი!
ძველ-ძველი მოხელე
პროხ-პროხი პაგონით,
ვისც კია ორხელი
და ხალხის ბატონი,
სუყველა ჯაშუშობს,
გაცემლობს, აბეზღებს,
ღამ-ღამით არ შიშობს,
დღითით კი ხვრელს ეძებს.
მაგრამ ხალხს არ სძინავს
და ფხიზლად სდარაჯობს:
ცხენოსნებს იჭირავს,
არ ინდობს არც მათ ჯორს,
იაძოჰყავს, არიგებს,
ჯერ რჩევით ასწორებს,
და ვინც ვერ შეიგნებს,
იმას ხალხს „აშორებს“!..



ბი, აქ გაშოტილს
რომ ხედავთ თავადსა,
ძას, ბევრჯერ „გაშოლტილს“,
მიაქონდა კვლავაცა
საჭირო ცნობები
სასურველ ადგილზე,
რომ უცბათ თოფებით
სულ მოკლე მანძილზე
გადმოდგენ იქიდან,
გადმოდგენ აქიდან,
ზოგი რომ წინიდან
ზოგებიც—განიდან

და უთხრეს ტკბილი ხმით,
როგორც მგელს შვენოდეს:



„შეჩერდი მცირე ხნით!
კნიაზო! გრცხვენოდეს.
რამდენჯერ შეგვპირდით,
მაინც არ სწორდები,
იმდენად დამცირდით,
იმდენად შმორდები,
რომ „ძრომას“ განაგრძობთ
ჩვენც საქმეს გვირთულებთ,
აწ ჩვენც ბრალს აღარ ვგრძნობთ
და აღთქმულს გისრულებთ!“.
თოფების დახლამაც
შუსწყვიტა ღრიალი...
აქ შესდგა აკლდამაც
და ბედის ტრიალიც...

—:—

ბედი კი სხვა იყო
და სხვა რიგ ბრუნავდა,
ის სიტკბოს ზღვა იყო,
ის მასზედ ზრუნავდა...
კარგი სმა და ჭამა,
ჩაცმა და დახურვა,
არც შრომის ნატამალს,
არც ოფლის დაწურვას
არ სცნობდა თავისად
ამ ქვეყნად საჭიროთ,
ამ წლიდან გაისად
სულ ზეიმს აპირობს,
და გლეხზე, ვით ცხენზე,
მათრახის ხმარებას...
აღზრდილა ამ სენზე
და სდევს დროს ტარებას!.



— „ყაძახო! ნახევარს
მომიტან ქირნახულს!..
ხედავ ამ სატევარს
და მათრახს, დაძახულს?!.
მაგ მოხრილ ბეჭებზე
გცემ, რომ ვერ დათვალო!“.
ეცემა მუხლებზე
მხეცის წინ საბრალო
და სთხოვს, რომ მესამედს
დასჯერდეს ამ ხანად...
— „უყურეთ თქვენ ამ ყბედს
ტოლს მცნობს, თუ ამხანაგს,
რომ ასე მიბედავს
თავხედურ ღირღიტსა?!“.
აგინებს მას დედას,
გადასდგამს წინ ბიჯსა
და მათრახს აღმართავს,
რომ ჩასცხოს ბეჭებში...
კანონს და სამართალს
ვინ ჰპოებს მხეცებში!..

მაგრამ ჰა, მოვიდა
სხვა დრო, სხვა „მეხები“,
ამოჰყავს ჭლოვიდან
საბრალო გლეხები;
თავადმა ძალის წინ
მოჰკეცა ფეხები...
თვით ხედავთ სურათში!..
მეც აჩვას არ ვეხები!..
აქა უჩიტელ ჩინ-კაკარდაძე და ახალთაობის
„ყვაპები“
აგერ კი სულ სხვა სჩანს
სურათი, შემთხვევა!
აქ მუზაც სხვა საგანს
უჩემოდ ეწევა.



უჩიტელ ფოლაქიჩ
კაკარდა-ჩინაძე
— „ყვაპებო! აქეთ, ციც!
დადექით სმენაზე!..
აი, აქ სწერია...
მათ უხსნის ეს ტიპი:
„ცა ღმერთს უჭერია
და მიწა—ხელმწიფეს!..
შეხედეთ სურათებს!
ეს მიწის პატრონი...
(ს... ათზე ხელს ადებს)
ყოველი „ზაკონი“
ამისგან მტკიცდება
და შედის ძალაში!“
და ხმებიც მისწყდება
საკლასო ზალაში,
და ხედვაც ხელმწიფის
სურათზე ჩერდება...
პატარა გული ხტის
და მკერდიც ძგერდება...
— „აი, ე'“, განაგრძობს
ჩინაძე საუბარს
და ახლა ხელს ადებს
სურათზე მღვდელმთავარს:
„...ქრისტეს კაცია,
ს...ლისაც, მას უკან,
თუმცა კაბა აცვია
და ...ის თხას უგავს,
ჯაჭვით ჯვარს ატარებს
და იცავს ზნეობას!..“
ეს ართობს პატარებს
და გრძნობენ დღეობას!.

—:—

მაგრამ ჰა, სხვა დგება
ხანა და დროება
სიყალბეთ ცხადდება
თვით სარწმუნოება!



კედლიდან ხატს ხსნიან
და მეფის სურათებს,
ჰხევენ და ძირს ჰყრიან,
ზოგს ცეცხლიც ანათებს
და აწვევს ალებში
ქაღალდს თუ ჩარჩოებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბავშთ ნორჩ თვალებში
ზეიმის ასოებს.
  მზესავით აშუქებს
ეგ საქმე, უჩვეო!..
ჩინაძეს აწუხებს!
ჩინაძე ირევა!..
  მაგრამ რა? ვინ ასდებს
სტიქიას ალვირებს?
ის სულ სპობს ჩინაძეს
და ყვირილს აპირებს,
  როდესაც ყვაპები
უხსნიან წიგნებით:
„სცდებოდენ პაპები!
ჩვენ კი ვერ ვიქნებით
  მათსავით ბეცები
და სათებრ გამგონი...
ძირს ყველა მხეცები:
მეფე, თუ ბატონი!..



—:—

  ბატონებს მეხივით
შეჰზარავს ეს ცნობა,
რომ ჰყრიან ხეხვივით
სჭირთ „სუფრით ერთობა“!
  ნამდვილი ერთობის
ხმებს ველარ უძლებენ
და ასე ემხობა
ეს ხროვა, უძლები!..
  უძლები გლეხებშიც
ბევრია, თქმა არგებს,
უძვრება ფეხებში
ხუცებს, თუ თავადებს,



  და ილებს სახნავებს
ნორმებზე ძვირადა,
ლალას არ აკმაყებს,
  ლალას არ აკმავებს,
უხდება ვირადა!..
  და უწევს სამსახურს
სხვა და სხვას ბატონებს,
აქ თავიც აღარ ჰშურს,
ნამდვილ ყმას გვაგონებს!..
  ასეთებს უნდება
სანაცვლო „პატივი“!..



აქ ენაც დუნდება,
ამდენხანს აქტივი,

  ვერ ავსწერ, რაც ზომა
ასეთებს არჯულებს,
თუმც ნიშა, თუ ლომა
აქ საქმეს ართულებს,
  თორემ თვით მსგავს გლეხზე
„ახია კურტანი“!..
დასაჯონ, დე, წესზე
ასეთი მურტალი!
  რათ არღვევს ერთობას?
რათ შტრეიკბერხერობს?
თავადებს ემხრობა,
ხუცებთან ქვექვერობს?!.
  შ. ისიც იცოდეს,
რომ არის „გამცემი“!
იტანჯოს, იწოდეს
და იყვეს ნაცემი!..

  ცოტაა მურტლები
ამ ქვეყნის პირადა?
სხვა და სხვა ქურდები
არიან ხშირადა!..
  მათ მოთვლას რომ მოვყვეთ,
მძიმს, შენი მტერია!..
სიტყვებს მეტს ნუ მივყვეთ,
ჰა, მთელი სერია,
  სურათად ნაკვეთი,
აქვეა დართული:
სჩანს თვითო თვის კეთილ
საქმეში გართული!..



  ხარის ქურდს ზურგს ტყავი
ნაქურდლის უმშვენებს!..
მამლის „მტერს“ სძულს თავი,
„ნადავლს“ რომ „უჩვენებს“!..
  ქათმის და კვერცხების
ქურდს მიაქვს „ნაღვაწი“...
სხვას კი არ ვეხები,
ჯერ სურათს დავაცლი.
  აქიდანც ნათლად სჩანს
დასჯა ამ მურტლების...



ვერ ჰპოებს გასაქანს
დღეს საქმე ქურდების!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმავდა ამ გვარად
სოფლად ძალთ ერთობა,
ქალაქიც იმ ხანად
ბრძოლისთვის ეწყობა.
გაფიცვა აქ ხშირად
შეტევით თავდება:



ბი ეს სდგას გზირად,
ხალხიდან სხვავდება;
ამ ჯოხებს, გასასყიდს,
ის ვითომ ატარებს,
მთელის სარფას დიდს,
თავს ვაჭარს ადარებს,
ნამდვილად სხვას უცდის,
გულს სხვა რამ ესვენა!..
მუშტარი ფულს უწვდის,
სურს ჯოხის შეძენა,
მაგრამ ეს რა ესმის?
უზომო ფასია!..
ბრუნდება... რა ეთქმის?
ვაჭრობა ასეა!..
და უცბა... რას ხედავს?
შეიქნა ჩოჩქოლი!..



მეჯოხე შველის თავს:
თითო, თუ ოროლი
იმისი ჯოხები
მთლად მუქთად იტაცეს,
მით ეს ამბოხება
მტერს იფრენს, ამარცხებს!..
მიიწევს, ვით ლავა,
ჯოხების ფრიალით...




მეჯოხეც კი წავა
წინ სახის ციალით!..
ღიმილი მას ბადრავს!..
პირველი მუშტარი
კი ჰფიქრობს: ეს რას ჰგავს?
რომ სცემოს, მზათ არი!..
თურმე კი... გაირკვა,
მეჯოხეს დაეტყო,
რომ ჯოხის გაყიდვა
მას განგებ მოეწყო,
მუშათა გამოსვლას
რომ ამ დღეს ელოდა,
თურმე აქ ამ „წიხსვლას"
ის ხელმძღვანელობდა!.
და ხედავთ, რა მოხდა?!
მოიწევს ფრთა შლილად...
წინ დროშა გამოჩნდა
წითელი, გაშლილად...



გადადის საჟაჭრო
მაგ-დებს ტალღები
მუშათა, სანატრელ,
მზჩნის წრი წამლები...
და ბრძოლა, ვით ლხინი,
მიუხახთ, უხარით,
რომ მტერის სჭირთ ჟინი,
უტევენ მუქარით!..

. . . . . . . .

და დიდხანს ამ ამბრს
იყო აქ თაოეში
საჟაჭრო დარაბის
სარკმლებს, თუ კარებში...
და ვაჭარს ცაჭარი
ამ წარღვნას აგონებს,
ეს წინსვლის ხანძარი
მათ დღეაალც ალონებს...
და უცბად... რომ ისხდენ
დუქნის წინ და იყვნენ
ამ შიშს და ბაასში,
რაღაც... ბრახ!.. დაეცა
ნალმი, თუ მეხები!..
მზათაა, გაიქცენ,
არ იძვრას ფეხები...
ერთ ადგილს გაქვავდენ,
ერთ ადგილს გაშეშდენ,
აჩრდილებს თუ ჰგავდენ,
იმ ზომად გაცეცდენ...
თურმე კი... ნამდვილათ,
(თუმცა თავის მოჭრა:)



რომ გასქდა არ-რბილათ,
ეს ძველი ბოჭკაა!..
დაძრული ბანიდან
დაეცა ფილაქანს...
და იმ დღე-ხანიდან
საცინელ ამ საგანს
იგონებს სუყველა,
ვინც კი იქ მჯდარიყო:
— „ოჰ, ღმერთმა გიშველა,
რომ ნალმი არ იყო!.."

ფანისიძე.

რედაქტორი: სარედაქციო კოლლეგია

# დროშა

სპეციალური დამატება

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტალინი

# სრულიად საკავშირო კომპარტიის (ბ) ყრილობის გამო.




საქართველოს დელეგაცია ამხ.ʺ I. სტალინთან, II. ბუხარინთან და III. ენუქიძესთან ერთად.



ა | კავკასიის დელეგატთა ერთი ჯგუფი.